

ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტი



სამართლის სამაგისტრო პროგრამა
თამარ გოგინავა

**წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობის საფუძვლები და
წარმომადგენლობის ფარგლები**

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ზურაბ ძლიერიშვილი
პროფესორი

თბილისი
2019

I.	შესავალი.....	1
II.	წარმომადგენლობის ცნება და ზოგადი მიმოხილვა	2
2.1	წარმომადგენლობის წინაპირობები	3
2.2	მატერიალურსამართლებრივი წარმომადგენლობა	3
2.3	საპროცესო წარმომადგენლობა	4
2.4	წარმომადგენლობის ინსტიტუტი სხვა ქვეყნების მაგალითზე.....	6
III.	წარმომადგენლობის წარმოშობის საფუძვლები	8
3.1	მინდობილობა - როგორც წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობის საფუძველი	10
3.1.1	მინდობილობის ფორმები	10
3.1.2	მინდობილობის სახეები.....	10
3.2	კანონი, როგორც წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობის საფუძველი.....	11
3.2.1	მშობელთა მოვალეობანი შვილების მიმართ (სკ-ის 1198-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე).....	11
3.2.2	არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები.....	12
3.2.3	არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი	14
3.2.4	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე მითითება	15
3.3	არასრულწლოვნის მიერ დადებული გარიგების ნამდვილობა	16
3.3.1	საქართველოში არსებული პრაქტიკა.....	17
3.3.2	ქმედუნარიანობა, როგორც წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობის წინაპირობა	22
3.3.3	მეურვეობის, მზრუნველობისა და მხარდაჭერის ინსტიტუტი, როგორც წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობის საფუძვლები.....	25
3.3.4	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა	27
IV.	წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლები.....	28
4.1	უძრავი ქონების მართვა/განკარგვა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების საფუძველზე	29
4.1.1	ბათილი გარიგების სამართლებრივი შედეგები	30
4.1.2	საქართველოში არსებული სასამართლოს პრაქტიკა	31

4.2	წარმომადგენლის ვალდებულება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის არსებობისას	32
4.3	საკუთარ თავთან გარიგების დადების დაუშვებლობა	34
4.4	გარიგების დადება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე	36
4.5	კეთილსინდისიერების პრინციპის მნიშვნელობა	38
V.	დირექტორის, როგორც იურიდიული პირის წარმომადგენლის უფლებამოსილება	40
5.1	ისტორიული ექსკურსი.....	41
5.2	მინდობილი საკუთრების ინსტიტუტი სამოქალაქო სამართალში	42
5.3	გენერალური სავაჭრო მინდობილობა - პროკურა.....	43
5.4	დირექტორის უფლებამოსილების ფარგლები.....	44
5.5	დირექტორის უფლებამოსილების შეზღუდვა წესდებით ან სხვა სადამფუძნებლო დოკუმენტით.....	46
5.6	რამდენიმე უფლებამოსილი პირის არსებობა	47
VI.	წარმომადგენლობის განსხვავება დავალების ხელშეკრულებისგან	48
6.1	საქართველოში არსებული სასამართლო პრაქტიკა	49
6.2	დავალების ხელშეკრულების სასყიდლიანი ხასიათი	51
VII.	წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები	52
7.1	ვადის გასვლა.....	53
7.2	უფლებამოსილი პირის უარი	54
7.3	უფლებამოსილების გამცემი პირის მიერ უფლებამოსილების გაუქმება	55
7.4	უფლებამოსილების გამცემი პირის გარდაცვალება	55
7.5	წარმომადგენლობა შეწყდება, ასევე, შესრულებით	55
7.6	უფლებამოსილების გამცემი პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობა.....	56
VIII.	დასკვნა.....	57
	ბიბლიოგრაფია.....	v

გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა

იხ. - იხილეთ

ა. შ. - ასე შემდეგ

ე.წ. - ეგრეთ წოდებული

სსკ - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

სსსკ - საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

გსკ - გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

სუსგ - საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

შშმ პირი - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი

სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი

გაერო - გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

PECL - ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები

I. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლით გარანტირებული პიროვნების თავისუფალი განვითარების ძირითადი უფლებისა და სამოქალაქო სამართალში მოქმედი კერძო ავტონომიის პრინციპის რეალიზაციის ერთ-ერთი საინტერესო ფორმა რწმუნებულებითი ურთიერთობაა.¹ კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. დანაწესი გულისხმობს პირის პირადი უფლების განხორციელებას როგორც პირადად, ასევე წარმომადგენლის მეშვეობით. წარმომადგენლობის ინსტიტუტის კონსტიტუციურ-სამართლებრივი მნიშვნელობის უფრო აშკარა დანაწესს განსაზღვრავს ამავე მუხლის მესამე პუნქტი, რომლის თანახმადაც, ყველას აქვს უფლება სასამართლოში დაიცვას თავისი უფლებები პირადად ან ადვოკატის მეშვეობით, აგრეთვე კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში – წარმომადგენლის მეშვეობით. დაცვის უფლების არსი იმაში მდგომარეობს, რომ პირს, რომლის მიმართაც გარკვეული პროცესუალური ზომები ტარდება, უნდა გააჩნდეს შესაბამის პროცედურასა და მის შედეგზე ეფექტური ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა და არ აქვს მნიშვნელობა ამას პირადად უზრუნველყოფს თუ წარმომადგენლის მეშვეობით.

ზოგადად, თანამედროვე სამართალში არსებული მრავალი ურთიერთობა წარმოიშობა წარმომადგენლობის ინსტიტუტის მეშვეობით.² კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ხშირად არის იმის საჭიროება, რომ პიროვნება ან ორგანიზაცია, რომელიც სამართლებრივ ურთიერთობებში სხვადასხვა მიზეზის არსებობის გამო თავად ვერ ახორციელებს თავის ინტერესებს, უფლებებსა და მოვალეობებს, წარმოდგენილი იყოს სხვა პირის მიერ. წარმომადგენლობის ინსტიტუტი მოწესრიგებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში სსკ) 103-114-ე მუხლებით, რომლის თანახმადაც იგი არის სამართლებრივი ინსტიტუტი, რომლის მიხედვითაც, გარიგება ან სხვა მართლზომიერი იურიდიული ქმედება რომელსაც ასრულებს წარმომადგენელი წარმოდგენილი პირის სახელით უშუალოდ წარმოქმნის, ცვლის ან წყვეტს სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებს წარმოდგენილის მიმართ.³ პირს ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად,

¹ ერეკვანია თ., მესამე პირთა ინტერესების დაცვა წარმომადგენლობაში - მართლმსაჯულება და კანონი №3(34)'12, 28

² ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 422

³ თუმანიშვილი გ., გარიგებები (სამართლებრივი ბუნება და ნორმატიული რეგულირება), თბ., 2012, 86

თვითონ შეუძლია, განსაზღვროს ვინ იქნება თავისი წარმომადგენელი. სამოქალაქო სამართლის თეორიაში დღეს აღიარებულია შეხედულება, რომ გარიგება ხორციელდება წარმომადგენლის პიროვნებაში, ხოლო შედეგები კი - წარმოდგენილი პირის მიმართ დგება.⁴ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, თავისუფლება სამართლის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა. სამართალი აღიარებს თავისუფლების პრინციპს: *in dubio pro libertate*.⁵ წარმოდგენილი პირი თვითონ ირჩევს ვინ იქნება თავისი წარმომადგენელი. თუმცა, მიუხედავად ამისა, გარკვეულ შემთხვევებში წარმომადგენლობითი უფლებამოსილება წარმოიშობა კანონის საფუძველზე ან/და დავალების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, კონკრეტული ქმედებების შესასრულებლად.

წარმომადგენლობის ინსტიტუტთან დაკავშირებით, პრობლემურია წარმომადგენლობის ფარგლებს გადაჭარბების საკითხი, ვინაიდან ხშირია შემთხვევები, როცა ქონება განიკარგება არაუფლებამოსილი პირის მიერ. ნაშრომში შედგება რვა თავისგან და სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, განხილულია შემდეგი საკითხები: წარმომადგენლობის ცნება, ზოგადი მიმოხილვა, წარმოშობის საფუძვლები, უფლებამოსილების ფარგლები, დირექტორის, როგორც იურიდიული პირის წარმომადგენლის უფლებამოსილება, წარმომადგენლობის განსხვავება დავალების ხელშეკრულებისგან და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები.

II. წარმომადგენლობის ცნება და ზოგადი მიმოხილვა

ვალდებულება, ისე როგორც ყველა სხვა სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა, წარმოიშობა განსაზღვრული იურიდიული ფაქტების საფუძველზე, რომელთაგან კანონი განსაკუთრებით გამოყოფს ისეთ იურიდიულ ფაქტს, როგორცაა ხელშეკრულება. ვალდებულებათა უმეტესობა მყარდება ხელშეკრულებაში გამოხატული მისი მონაწილეების ნების გამოხატვის საფუძველზე.⁶

თანამედროვე სამართალბრუნვა მოითხოვს იმგვარი ურთიერთობების კანონისმიერ მოწესრიგებას, რომლითაც შესაძლებელია კონკრეტული ქმედების განხორციელებით სხვისთვის სამართლებრივი შედეგის წარმოშობა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება სსკ-ში 103-114-ე მუხლები

⁴ ჭანტურია ლ., შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 2011, გვ. 422

⁵ ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბ., 2004, 49

⁶ ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, თბ., 1999, 7

გარიგებისმიერი წარმომადგენლობის შესახებ. მესამე პირი სამართალურთიერთობაში გამოდის როგორც კონტრაქტი და წარმომადგენლის მეშვეობით წარმოდგენილი პირის მიმართ ავლენს ნებას. წარმომადგენლის სხვისი სახელით მოქმედების ფაქტი მესამე პირისთვის შეცნობადი უნდა იყოს. სსკ-ის 104-ე მუხლის I ნაწილის თანახმად: „იმ გარიგებით, რომელსაც წარმომადგენელი დებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და იმ პირის სახელით, რომელსაც იგი წარმოადგენს, უფლებები და მოვალეობები წარმოეშობა მხოლოდ წარმოდგენილ პირს.“ რამდენადაც ნების გამოვლენა გარიგების აუცილებელი ელემენტია და არა პირიქით⁷, კონტრაქტის ვინაობის სიცხადის ინტერესი მნიშვნელობას იძენს წარმომადგენლის მიერ ნების გამოვლენის მომენტიდან.

2.1 წარმომადგენლობის წინაპირობები

წარმომადგენლობის წარმოშობისთვის პირველ რიგში აუცილებელია წარმოდგენილი პირის ნება, მისი სურვილი, გადასცეს თავისი უფლებამოსილება წარმომადგენელს. გარდა ამისა, საჭიროა კიდევ სხვა იურიდიული ფაქტი, რაც სპეციალურად არის მითითებული კანონში.

1. წარმომადგენლის მიერ საკუთარი ნების გამოვლენა ან სხვა პირის ნების გამოვლენის მიღება (გამიჯვნა კურიერისგან, რომელიც სხვისი ნების გამოვლენის მიწოდებას ახდენს).
2. სხვა პირის სახელით - წარმომადგენელმა უნდა იმოქმედოს აშკარად წარმოდგენილი პირის სახელით, სხვა შემთხვევაში იგი თავად გახდება ვალდებული და მას – თუნდაც იგი შემცდარიყო აღნიშნული შედეგების მხრივ – არ შეუძლია ასევე შეცილება.
3. წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით - წარმომადგენლის უფლებამოსილება, წარმოადგინოს სხვა პირი, შეიძლება გამომდინარეობდეს კანონიდან ან გარიგებიდან.
4. წარმომადგენლობის დასაშვებობა - გარკვეულ შემთხვევებში დაუშვებელია წარმომადგენლობა. (მაგ. ქორწინების დროს).

2.2 მატერიალურსამართლებრივი წარმომადგენლობა

რწმუნებულებით ურთიერთობაში მხარეთა ინტერესების დაცვა ხორციელდება კერძო ავტონომიის პრინციპის უზრუნველყოფით, რომლის მოქმედების სფერო სრულდება იქ, სადაც იწყება სხვისი მოქმედების

⁷ კერესელიძე დ., იურიდიულ ცნებათა ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება, ჟურ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 6/2003-4, 446

თავისუფლება.⁸ წარმომადგენლობაში მხარეთა ინტერესების თანაფარდობის დაცვა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საკანონმდებლო რეგულაციებსა და სასამართლო პრაქტიკაზე.

მატერიალურ სამართალში ერთმანეთისგან განასხვავებენ პირდაპირ და არაპირდაპირ წარმომადგენლობას. პირდაპირი წარმომადგენლობის დროს, მართალია, ურთიერთობაში გარეგნულად მონაწილეობს წარმომადგენელი, მაგრამ ამ ურთიერთობების შედეგები უშუალოდ მიმართულია წარმოდგენილი პირის მიმართ. არაპირდაპირი წარმომადგენლობის დროს წარმოდგენილი მოქმედებს თავისი სახელით. სამართლებრივი ურთიერთობის შედეგი ჯერ მის მიმართ დგება, ხოლო შემდეგ - წარმოდგენილი პირის მიმართ (აღნიშნულის მაგალითია კომისიის ხელშეკრულება).⁹ არაპირდაპირი წარმომადგენლობა ასახავს ფაქტობრივ მდგომარეობას და ის არ ითვლება წარმომადგენლობად სსკ-ის 103-114-ე მუხლების გაგებით. მაშასადამე წარმომადგენლობად უნდა მივიჩნიოთ მხოლოდ პირდაპირი წარმომადგენლობა, ე.ი როცა წარმომადგენელი მოქმედებს წარმოდგენილი პირის სახელით, ამ პირისთვის.¹⁰

უნდა აღვნიშნოთ, რომ სამოქალაქო კოდექსის 103-ე მუხლით განსაზღვრულ წარმომადგენლობად არ ჩაითვლება „მეწარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული სავაჭრო წარმომადგენლის, დამოუკიდებელი მოვაჭრის ან/და კომისიონერის საქმიანობა, ვინაიდან მათ მიერ განხორციელებული საქმიანობა არის შუამავლობითი საქმიანობა.¹¹ ასევე არ მიეკუთვნებიან წარმომადგენლებს ის პირები, რომელთა საქმიანობის მიზანია ნების გამოვლენის გადაცემა ადრესატისთვის.

2.3 საპროცესო წარმომადგენლობა

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ გარდა მატერიალურსამართლებრივი გარიგების დადების დროს განხორციელებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილებისა, წარმომადგენლობა ასევე დასაშვებია პროცესუალურ სამართალში. როგორც წესი, სასამართლოში წარმომადგენლობის უფლება აქვს ადვოკატს, ამასთანავე, მოქალაქეებს შეუძლიათ სასამართლოში საქმე აწარმოონ პირადად, ხოლო იურიდიულ პირებს ან სხვა ორგანიზაციებს - იმ თანამდებობის პირების მეშვეობით, რომელსაც წესდებით ან დებულებით

⁸ კერესელიძე დ., სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, ჟურ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 7/2004-1, 26

⁹ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 425

¹⁰ იხ. იქვე

¹¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, წიგნი I, თბ., 2002, 278

განსაზღვრული აქვს ამ იურიდიული პირისა თუ ორგანიზაციის სახელით მოქმედების უფლებამოსილება.¹²

ზოგადად, სამოქალაქო დავებში (საოჯახო, გაკოტრების, დელიქტური და ა.შ.) იურისტების, როგორც წარმომადგენლების როლი საკმაოდ მნიშვნელოვანია, თუმცა არის ანალიტიკურ გამოწვევები, რომელიც ხელს უშლის ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანას, კერძოდ, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ადრე ჩატარებულ კვლევებში ბევრ ავტორს არ ჰქონდა მითითებული გამოკვლევული საქმეების სირთულე და გადაწყვეტილებაზე მოქმედი სხვა ფაქტორები, შესაბამისად, ისინი თვლიდნენ, რომ დავის განხილვისას იურისტების როლი არც ისე დიდი იყო.¹³

რაც შეეხება წარმომადგენლის (ძირითადად, იურისტის, ადვოკატის) მორალურ პასუხისმგებლობას, არსებობს 2 გავრცელებული მოდელი წარმომადგენლობის: 1. წარმომადგენელი, როგორც „ამორალური ინსტრუმენტი“, იგი თავიდან ბოლომდე დამოკიდებულია კლიენტზე და მას მორალურ რჩევებს არ აძლევს, უბრალოდ მოქმედებს კანონის ფარგლებში, თუმცა, მორალურ-ეთიკური ღირებულებები არაა მნიშვნელოვანი, კლიენტის გამო მესამე პირების „ჩაგვრას“ არ ერიდება, 2. წარმომადგენელი, როგორც „ეთიკური აგენტი“, იგი თვითონვეა პასუხისმგებელი, რომ კლიენტთან ურთიერთობის ზღვრები დააწესოს, განმარტოს, თუ რა ფარგლებში იმოქმედებს და ა.შ. აქ ცუდი ისაა, რომ კლიენტს აღარ რჩება საკმარისი მორალური პასუხისმგებლობა. წარმომადგენელს უნდა ჰქონდეს მორალური ვალდებულება, რომ ყველა ქმედება განახორციელოს მხოლოდ საკანონმდებლო ფარგლებში, რომელიც, თავის მხრივ მოიცავს ჩვეულებებსა და მორალურ საკითხებსაც. გარდა ამისა, წარმომადგენელს უნდა ჰქონდეს დისკრეციული უფლებამოსილება თვითონ გადაწყვიტოს კლიენტის დავალებას შეასრულებს თუ არა, იმისდა მიუხედავად ეს დავალება კანონიერია თუ არა.¹⁴

„სასამართლო წარმომადგენლობა, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი ინსტიტუტია, რომელიც წარმოადგენს ფიზიკური და იურიდიული პირების კანონიერი ინტერესების დაცვის

¹² ბასილაია ფ., ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №1(20), 2009, წარმომადგენლობა და დაუსწრებელი გადაწყვეტილება, 10

¹³ Emily S, Taylor Poppe, Jeffrey J. Rachlinski, Do Lawyers Matter, The effect of legal representation in Civil Disputes, 882-883

¹⁴ Thomas D. Morgan, Robert W. Tuttle, Legal Representation in a pluralist Society, 998

მტკიცე გარანტიას.¹⁵ სასამართლო წარმომადგენელი არის პირი, რომელიც სასამართლოში მარწმუნებლის სახელითა და მისი ინტერესების შესაბამისად, ასრულებს ყველა იმ საპროცესო მოქმედებას, რაც გათვალისწინებულია კანონით და მარწმუნებლის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე.¹⁶ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით (შემდგომში - სსსკ) გათვალისწინებულია ე.წ „საპროცესო წარმომადგენლობის“ ინსტიტუტი. აღსანიშნავია, რომ წარმომადგენლობითი საქმიანობის შეზღუდვის განმსაზღვრელმა ნორმამ (სსსკ-ის 440-ე მუხლი) დიდი ვნებათა ღელვა გამოიწვია საზოგადოებაში. მისი არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით, კონსტიტუციური სარჩელი შეიტანეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში. სარჩელში მითითებული იყო, რომ „თუკი მხარე თავის წარმომადგენლად სასამართლოში მოიყვანს ისეთ პირს, რომელიც ვერ დაიცავს მის უფლებებს, ანუ ვერ მოახეხებს საჭირო მტკიცებულებების წარმოდგენას, თავისი მოსაზრების დასაბუთებას და ა.შ., ეს ხომ მხარის პრობლემაა, ეს ხომ მისი არჩევანია და საბოლოო ჯამში, - ეს ხომ მისი შედეგია!“¹⁷ აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა, არაკონსტიტუციურად ეცნოთ სსსკ-ის 97-ე და 440-ე მუხლები.

2.4 წარმომადგენლობის ინსტიტუტი სხვა ქვეყნების მაგალითზე

გერმანიაში არსებობს ნდობითი ოპერაციების სამი ძირითადი სახე:

1. ფიდუცია მკარცრი გაგებით (Vollrecht-streuhand);
2. ფიდუცია ქონების მიმდობის ხარჯზე მოქმედების უფლების დელეგირებით (Ermaechtigungstreuhand);
3. დავალების ხელშეკრულების საფუძველზე აღმოცენებული ფიდუცია (Vollmachts-(Quasu)-treuhand).

არსებობს ღია და ფარული ხასიათის ნდობითი ოპერაციები. ასხვავებენ ფიდუცია - გარანტიას საკუთარ ინტერესებში (eigennutzigne Sicherungstreuhand) და ფიდუცია-მართვას მესამე პირის ხარჯზე (fremdnuetzige Verwaltungstreuhand)¹⁸.

¹⁵ ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2014, I ნაწილი, 183

¹⁶ ქურდაძე შ., სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, მეორე გამოცემა, თბ., 2006, გვ. 267, მითითებულია ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2014, I ნაწილი, 183

¹⁷ წაქაძე გ., ჟურნალი „სამართალი“ №5-6, 2002, წარმომადგენლის საქმიანობის შეზღუდვა - შეცდომა თუ?, 26

¹⁸ ზამბახიძე თ., ჟურნალი „სამართალი“ №1, 2000, საკუთრების მინდობა, (ისტორიული მიმოხილვა) 61

რუსეთში ტრასტის ინსტიტუტის ცდა იყო რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის 1993 წლის 24 დეკემბრის №2296 ბრძანებულება.¹⁹ თუ საბჭოთა პერიოდის ცივილისტურ ლიტერატურას გადავავლებთ თვალს, დავრწმუნდებით, რომ ზოგი მეცნიერი ცდილობდა ტრასტის ინსტიტუტის დამკვიდრებას, რისთვისაც ისინი ხელმძღვანელობდნენ მხოლოდ ტერმინი “trust”-ის ეტიმოლოგიური მნიშვნელობით და იძლეოდნენ კონსტრუქციას, რომლის დროსაც სახელმწიფო მის მიერ შექმნილ ორგანიზაციას სამართავად ანდობდა სახელმწიფო ქონებას.²⁰

მინდობილი მესაკუთრის ძირითადი უფლებებია, განახორციელოს იურიდიული და ფაქტობრივი ქმედება საკუთრების მინდობით გადაცემულ ქონებაზე. მინდობილი მესაკუთრე ასრულებს მესაკუთრის უფლებამოსილებას, მაგრამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ჩარჩოებში. უძრავი ქონების განკარგვა მას შეუძლია ხელშეკრულებით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში. „მოდრავი ქონების განკარგვა პრეზიუმირებულია, მაგრამ ხელშეკრულება მას შეიძლება კრძალავდეს“.²¹

უნდა აღვნიშნოთ, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის საერთო საკანონმდებლო სისტემის ჩამოყალიბების კუთხით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო და თანამედროვე კერძო სამართალში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია „ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები“ - (**Principles of European Contract law - PECL**). მართალია, მას სარეკომენდაციო ხასიათი აქვს, თუმცა ევროპაში სამართლებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად აქტიურად გამოიყენება. წარმომადგენლის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით, საინტერესო დეფინიციას შეიცავს აღნიშნული დოკუმენტის მე-3 თავი, სადაც მითითებულია, რომ „ეს თავი აწესრიგებს წარმომადგენლის ან სხვა შუამავლის უფლებამოსილებას, რომლითაც მის მიერ მესამე პირთან დადებული ხელშეკრულებით წარმოდგენილი პირი იბოჭება“.²²

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წარმომადგენელსა და წარმოდგენილ პირს შორის არსებული შიდა ურთიერთობიდან გამომდინარე, წარმომადგენლის უფლება-მოვალეობების შეცვლა ან/და შეწყვეტა გავლენას არ ახდენს

¹⁹ ზამბახიძე თ., ჟურნალი „სამართალი“ №1, 2000, საკუთრების მინდობა, (ისტორიული მიმოხილვა) 63

²⁰ Мартынов Б. С. Государственные трасты, 1924, с. 10, მითითებულია ზამბახიძე თ., ჟურნალი „სამართალი“ №1, 2000, საკუთრების მინდობა, (ისტორიული მიმოხილვა) 64

²¹ ზამბახიძე ტ., ჟურნალი „სამართალი“ №1, 2000, საკუთრების მინდობა - საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ახალი ინსტიტუტი, 53

²² ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები, ე. ბზეკალავას, თ. ჭალიძის, ა. ცერცვაძისა და დ. გეგენავას თარგმანი, საერთო რედაქტორობით, თბ., 2014, 32 (მუხლი 3:101)

რწმუნებულებით უფლებამოსილებაზე და იგი ნამდვილია მესამე პირის მიმართ. მესამე პირის ინტერესები წარმომადგენლობაში დაცულია რწმუნებულებითი უფლებამოსილების ნამდვილობითა და რწმუნებულებისა და მის საფუძვლად არსებული ურთიერთობის აბსტრაქტული ხასიათით.

III. წარმომადგენლობის წარმოშობის საფუძვლები

სსკ-ის 103-ე მუხლის I ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, „წარმომადგენლობითი უფლებამოსილება წარმოიშობა დავალების (მინდობილობის) საფუძველზე.“ დავალება, როგორც კონკრეტული ხელშეკრულება, ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის თავისუფლებიდან გამომდინარე, არ შეიძლება იყოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობის ერთადერთი საფუძველი,²³ ვინაიდან იგი შესაძლებელია სხვა ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობდეს.

ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ წარმომადგენლობის შემდეგი ტიპები - სავალდებულო ანუ *კანონიერი* წარმომადგენლობა და ნებაყოფლობითი ანუ *სახელშეკრულებო* წარმომადგენლობა.²⁴ სავალდებულო (კანონიერი) წარმომადგენლობის წარმოშობის საფუძვლები კანონითაა განსაზღვრული. ნებაყოფლობითი (სახელშეკრულებო) წარმომადგენლობა არის ისეთი წარმომადგენლობა, რომელიც წარმოიქმნება წარმოდგენილი პირის სურვილით. ეს უკანასკნელი ირჩევს ვინ იქნება მისი წარმომადგენელი და რა უფლებამოსილებას გადასცემს მას.²⁵

არსებობს აგრეთვე ე.წ. *კომერციული წარმომადგენლობა*. წარმომადგენლობის ეს სახე განსხვავდება ჩვეულებრივი წარმომადგენლობისგან. კომერციული წარმომადგენელი არის პირი, რომელიც, დამოუკიდებლად გამოდის სამეწარმეო სფეროში ხელშეკრულებების დადების დროს. კომერციულ წარმომადგენლობას აქვს სპეციფიკური თავისებურება, რაც იმაში გამოიხატება, რომ მას ერთდროულად შეუძლია იყოს გარიგებაში სხვადასხვა მხარის წარმომადგენელი. ეს დაიშვება მაშინ, როცა ამის შესახებ პირდაპირ არის მითითებული კანონში, ან მხარეები თანახმა არიან. კომერციული წარმომადგენლის უფლებამოსილება პირდაპირ უნდა აისახოს

²³ კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 404

²⁴ თუმანიშვილი, გარიგებები (სამართლებრივი ბუნება და ნორმატიული რეგულირება), თბ., 2012, 87

²⁵ თუმანიშვილი, გარიგებები (სამართლებრივი ბუნება და ნორმატიული რეგულირება), თბ., 2012, 88

ხელშეკრულებაში, რომელიც წერილობითი ფორმით უნდა დაიდოს, ან/და აღინიშნოს მისთვის მიცემულ მინდობილობაში.²⁶

წარმოდგენილსა და წარმომადგენელ პირს შორის წარმოქმნილი ურთიერთობების საფუძველია გარიგება - მინდობილობა. „მინდობილობა არის გარეგნული ფორმა, რომელშიც გამოიხატება კონკრეტული პირისთვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება“.²⁷ ამრიგად, გარიგების საფუძველზე მინიჭებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება არის მინდობილობა.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ რწმუნებულება აბსტრაქტულია მის საფუძველად არსებული შიდა ურთიერთობისგან. წარმომადგენლის მიერ შიდა ურთიერთობის ფარგლების გადამეტება, გავლენას არ ახდენს წარმომადგენლობის ნამდვილობაზე - სამართლებრივი შედეგები მოქმედებს წარმოდგენილი პირის მიმართ. რწმუნებულების აბსტრაქცია მოქმედებს, ვიდრე მესამე პირის ინტერესების დაცვის გათვალისწინების ვალდებულება არსებობს. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში გსკ) §170-§172-ე პარაგრაფების მიხედვით, მესამე პირის ნდობა რწმუნებულებისადმი დაცულია მაშინაც კი, თუ რწმუნებულება შეწყვეტილია. ამ შემთხვევაში, წარმომადგენელი „სამართლებრივი ნებართვის“ გადამეტების გამო, წარმოდგენილი პირის მიმართ პასუხს აგებს ზიანის ანაზღაურების ნორმებით ან სხვა შესაბამისი საფუძველით.

რწმუნებულების, როგორც გარიგებისმიერი წარმომადგენლობისა და ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენის საფუძველი შესაძლებელია იყოს ნებისმიერი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა. მესამე პირის ინტერესების გათვალისწინება აქტუალურია რწმუნებულების წარმოშობის მომენტიდან (სსკ-ის 103-ე მუხლის I ნაწილი), საკანონმდებლო დონეზე რწმუნებულების წარმოშობის საფუძველების განსაზღვრა კი გამორიცხავს მესამე პირის ინტერესების დაცვას, შესაბამისად, სსკ-ის 103-ე მუხლის I ნაწილში არ უნდა ხდებოდეს დავალების ხელშეკრულებაზე, როგორც რწმუნებულების წარმოშობის ერთადერთ საფუძველზე, მითითება.²⁸

²⁶ კობახიძე ა., სამოქალაქო სამართალი, 312

²⁷ თუმანიშვილი, გარიგებები (სამართლებრივი ბუნება და ნორმატიული რეგულირება), თბ., 2012, 86.

²⁸ ერეკლავა თ., მესამე პირთა ინტერესების დაცვა წარმომადგენლობაში - მართლმსაჯულება და კანონი №3(34)'12, 38

3.1 მინდობილობა - როგორც წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობის საფუძველი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მინდობილობა არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობის სახელშეკრულებო საფუძველი, როდესაც წარმომადგენლობის ფარგლებს განსაზღვრავს წარმოდგენილი პირი. მინდობილობა შეიძლება განიმარტოს, როგორც გარიგების საფუძველზე მინიჭებული წარმომადგენლობის უფლებამოსილება - რწმუნებულება.²⁹

3.1.1 მინდობილობის ფორმები

უფლებამოსილების (რწმუნებულების) გაცემა ხორციელდება ნების გამოვლენით რწმუნებულის ან იმ მესამე პირის მიმართ, რომელთანაც უნდა წარმოიშვას წარმომადგენლობა. ნების გამოვლენისთვის არაა საჭირო ფორმა, რომლისთვისაც გაცემულია აღნიშნული უფლებამოსილება. ეს წესი არ გამოიყენება, თუ წარმომადგენლობითი უფლებამოსილებისთვის დადგენილია სპეციალური ფორმა.

მინდობილობა, რომელსაც გასცემს იურიდიული პირი, არ საჭიროებს სანოტარო წესით დამოწმებას. ასეთი მინდობილობა უნდა დაამოწმოს ორგანიზაციის ხელმძღვანელმა თავისი ხელმოწერით.

3.1.2 მინდობილობის სახეები

აღსანიშნავია, რომ მინდობილობები თავისი ხასიათითა და მოცულობით შეიძლება იყოს **ზოგადი** ანუ გენერალური, **სპეციალური** და **ერთჯერადი**.³⁰

- **ზოგადი** (გენერალური) არის მინდობილობა რომელიც წარმომადგენელს ანიჭებს უფლებამოსილებას, დადოს მრავალგვარი გარიგება ან შეასრულოს სხვა იურიდიული ქმედება, რომელიც დაკავშირებულია წარმოდგენილი პირის მთელ საქმიანობასთან.
- **სპეციალური** მინდობილობა, მართალია, მრავალგვარი მოქმედებების შესრულების უფლებამოსილებას ანიჭებს წარმომადგენელს, მაგრამ მასში შემოფარგლულია ის გარიგებები, რომლებიც წარმომადგენელს შეუძლია დადოს, ან/და კონკრეტულად არის ჩამოთვლილი ეს გარიგებები.

²⁹ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 426-427

³⁰ კობახიძე, ა. სამოქალაქო სამართალი, 2001, თბილისი: შპს გაზეთი „საქართველოს მაცნე“-ს სტამბა, გვ. 316, მითითებულია თუმანიშვილი, გარიგებები (სამართლებრივი ბუნება და ნორმატიული რეგულირება), 2012, 91

- ერთჯერადი მინდობილობა, რომელიც გაიცემა ერთი რომელიმე კონკრეტული მოქმედების შესასრულებლად ან კონკრეტული გარიგების დასადებად.

3.2 კანონი, როგორც წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობის საფუძველი

დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს კანონით წარმომადგენლობას. მისი მემშვეობით ხდება სამართლებრივ ურთიერთობებში იმ ადამიანების ჩაბმა რომლებიც მოკლებულნი არიან შესაძლებლობას თვითონ განახორციელონ თავიანთი უფლებები და შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები.³¹

კანონისმიერი წარმომადგენლობის ინსტიტუტი იმ კონკრეტული პირთა ჯგუფების უფლებების რეალიზებას ემსახურება, რომლებსაც არ შესწევთ თავიანთი ინტერესების დამოუკიდებლად დაკმაყოფილების უნარი.³² გარიგებისმიერი წარმომადგენლობისას, პირი თავად იღებს გადაწყვეტილებას თავისი ინტერესების რეალიზების უფლებამოსილების სხვისთვის გადაცემაზე და თავადვე განსაზღვრავს ამ უფლებამოსილების ფარგლებს,³³ ხოლო კანონისმიერი წარმომადგენლობის შემთხვევაში - პირს შეზღუდული აქვს აღნიშნული უფლებამოსილება კანონით, ვინაიდან კანონი განსაზღვრავს როგორც წარმოშობის საფუძველებს, ასევე - უფლებამოსილების ფარგლებს.

3.2.1 მშობელთა მოვალეობანი შვილების მიმართ (სკ-ის 1198-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე)

ადამიანები ხშირად სხვისი სახელით გამოდიან ურთიერთობებში, იძენენ უფლებებს, კისრულობენ ვალდებულებებს და ა.შ. ამის მიზეზი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. ერთ შემთხვევაში ურთიერთობის მონაწილე არის ბავშვი, „რომელსაც თავისი მოქმედებით ჯერ კიდევ არ შეუძლია არაფრის გაკეთება“.³⁴ ამიტომ, კანონი განსაზღვრავს, რომ ასეთ შემთხვევაში, ბავშვი კანონიერი წარმომადგენელია მისი მშობელი.

შვილების აღზრდა, მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვა მშობელთა უპირველესი მოვალეობაა. ამიტომ, მათი უფლებების დაცვის მომწესრიგებელი ნორმები მიმართულია არა მხოლოდ ამ უფლება-

³¹ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ. 2011, 424

³² კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2009, 402

³³ კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2009, 402

³⁴ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 421

მოვალეობათა განხორციელებისაკენ, არამედ ბავშვების აღსაზრდელად მათი პასუხისმგებლობის გაზრდისაკენაც.³⁵ ბავშვის დედობასა და მამობაზე დამყარებული მრავალმხრივი სამართლებრივი ურთიერთობები წარმოიშობა მშობლებსა და შვილებს შორის. მშობლების უფლება - მოვალეობანი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და ხშირად, ურთიერთგანპირობებულია. ასევე ურთიერთგანპირობებულია მშობლებისა და შვილების უფლება-მოვალეობები.³⁶ მშობლებს ევალებათ თავიანთი არასრულწლოვანი შვილების წარმომადგენლობა და ინტერესების დაცვა. „მშობლები არიან თავიანთი შვილების ბუნებრივი მეურვეები და მზრუნველები სპეციალური დანიშვნის გარეშე“.³⁷ მათ უფლება აქვთ და ვალდებულიც არიან დაიცვან თავიანთი არასრულწლოვანი შვილების ინტერესები ყველა დაწესებულებასა და მათ შორის, სასამართლოშიც.³⁸ წარმომადგენლობა არ შეიძლება ისეთი უფლებების განხორციელებისას, რომელიც უშუალოდ მათ მატარებელ პიროვნებას ახასიათებს. ამიტომ, ბუნებრივია მშობლები ასეთ სამართლებრივ ურთიერთობებში ვერ გამოვლენ თავიანთი შვილების წარმომადგენლებად. (წინასწარი თანხმობა დაქორწინებაზე და სხვ.)³⁹

3.2.2 არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები

აღსანიშნავია, რომ ისტორიულად, დასავლეთის ქვეყნებისათვის სრულიად უცხო იყო არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების ცნება. საზოგადოება და კანონმდებლობა არ აღიარებდა ბავშვებს, როგორც დამოუკიდებელ ადამიანებს მშობლებისგან დამოუკიდებელი უფლებებითა და ინტერესებით⁴⁰. ზოგადად, არც ოჯახში და არც საზოგადოებაში არ არსებობდა ბავშვის უფლებების ცნება, მისი განვითარებისა და დაცვის ხელშეწყობა, ამის საწინააღმდეგოდ, ბავშვი განიხილებოდა, როგორც მშობლის საკუთრებაში არსებული „ქონება“, მასზე შეუზღუდავი უფლებამოსილებით.⁴¹ ბრიტანული ჩვეულებითი სამართალიც მინიმალურ ყურადღებას უთმობს ბავშვის უფლებებს და არ არსებობდა არანაირი სამართლებრივი გარანტი ბავშვის უფლებათა დასაცავად, მათ შორის, არც

³⁵ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისის მე-4 გამომცემლობა, 2004, 439

³⁶ შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბ., 2017, 163-164

³⁷ შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბ., 2017, 169

³⁸ იხ. იქვე

³⁹ შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბ., 2017, 170

⁴⁰ Howe, R. B., Covell, K. Education in the best interests of the child: a children's rights perspective on closing the achievement gap. University of Toronto press, 2013, 17

⁴¹ Van Deusen Ch.R., The Best interests of the Child and the Law, Journal "Pepperdine Law Review", Vol. 18, 1991, 418.

მშობელთა ვალდებულება ეზრუნათ თავიანთ შვილებზე.⁴² უძველეს რომაულ სამართალში დამკვიდრებული იყო ე.წ. „მამის ძალაუფლების“ (Patria Potestas) პრინციპი, რომლის მიხედვითაც, მამას გააჩნდა აბსოლუტური უფლება საკუთარ შვილზე.⁴³ 1800-იანი წლების მიწურულს, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი „პატერნალისტური სახელმწიფოს“ (patterns partie) დოქტრინის საფუძველზე ჩამოყალიბდა. ამერიკის შეერთებულ შტატებში მისი წარმოშობა დაკავშირებულია დაკოტას შტატთან, სადაც 1877 წელს, სასამართლომ გამოიყენა პრინციპი, როგორც გადაწყვეტი ფაქტორი მეურვეობის საქმის განხილვისას, აღნიშნული გახდა პრეცედენტული გადაწყვეტილება. არა მარტო საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი, არამედ ზოგადად *იუვენალური იუსტიცია* სათავეს სწორედ ამერიკის შეერთებულ შტატებში იღებს.⁴⁴ ამერიკული მოდელისთვის მისაღებია ბავშვთა წარმომადგენლობა იურისტების მიერ. 7 წლიდან უნდა იყოს შესაძლებელი ბავშვთა ინტერესების დაცვა ადვოკატის მიერ, იმიტომ, რომ წარმომადგენელი არ აღიქმება, როგორც გადაწყვეტილების მიმღები, იგი მაინც კლიენტის დავალების შესაბამისად მოქმედებს, 7 წლამდე ბავშვი კი მოკლებულა ამ შესაძლებლობას, ამიტომაც, ასეთი ასაკის ბავშვთა წარმომადგენლობა უფრო ეთიკურ დილემას წარმოშობს და მხოლოდ რამდენიმე კეტეგორიი საქმის განხილვისას შეიძლება დასაშვებად ჩაითვალოს.⁴⁵

საუკეთესო ინტერესები ბავშვის უფლებათა კონვენციასთან და სხვა საერთაშორისო აქტებთან მჭიდრო კავშირში უნდა განიმარტოს.⁴⁶ ტერმინი „საუკეთესო ინტერესები“ ფართო გაგებით აღწერს არასრულწლოვანის კეთილდღეობას⁴⁷. კეთილდღეობა, თავის მხრივ, განისაზღვრება ისეთი ინდივიდუალური გარემოებების მხედველობაში მიღებით, როგორიცაა:

⁴² Alston P., Gilmour-Walsh B., The Best Interests of The Child-Towards a Synthesis of Children's Rights and Cultural Values, UNICEF, 1996, 3

⁴³ Howe R.B., Covell K., Education in the Best Interests of the Child: A Children's Rights Perspective on Closing the Achievement Gap, University of Toronto Press, 2013, 17

⁴⁴ შეილაძე ხ., არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის არსი, სამართლის ჟურნალი №2, 2016, 268

⁴⁵ Martin Guggenheim, The Right to be Represented but Not Heard: Reflections on Legal Representation for Children, 93

⁴⁶ UNHCR Guidelines on Formal Determination of the best Interests of the Child, United Nations High Commissioner for Refugees, 2006, 6

⁴⁷ UNHCR Guidelines on Determining the best Interests of the Child, United Nations High Commissioner for Refugees, 2008, 14

ასაკი, ბავშვის განვითარების დონე, მშობლებთან კავშირი, არასრულწლოვნის გარემო და გამოცდილება.⁴⁸

3.2.3 არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი

არასრულწლოვნების საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის განმტკიცების მყარი სამართლებრივი გარანტია გახლავთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1989 წლის კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, რომელსაც საქართველო 1994 წელს შეუერთდა და რომლის მე-3 მუხლი კონვენციის ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპად სწორედ საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობას ითვალისწინებს. როგორც კონვენცია განმარტავს, ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არის სახელმძღვანელო პრინციპი, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა კონვენციის გამოყენებისა და განმარტების თვალსაზრისით. ამას ადასტურებს ისიც, რომ აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების ძირითად საშუალებას კონვენციით დაცულ უფლებათა შორის წინააღმდეგობის არსებობისას⁴⁹. ერთ ერთ საქმეზე⁵⁰ სასამართლომ აღნიშნა, რომ „ბავშვის საუკეთესო ინტერესების კონცეფციის უზენაესობა ყოველთვის გადასწონის მშობლის უფლებასა და ინტერესს“.

„ბავშვის უფლებათა კონვენციის“ პრეამბულის მიხედვით, ყველა შემთხვევაში, არსებობს ბავშვის უფლებების განსაკუთრებული დაცვის აუცილებლობა⁵¹. ერთ-ერთ თავის ანგარიშში საქართველოს სახალხო დამცველი იზიარებს ბავშვის უფლებების კომიტეტის მოწოდებას საქართველოს მთავრობისადმი, მიიღოს კანონი ბავშვის უფლებების შესახებ, რომელშიც ასახული იქნება გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციისა და დამატებითი ოქმების დებულებები.⁵²

⁴⁸ UNHCR Guidelines on Determining the best Interests of the Child, United Nations High Commissioner for Refugees, 2008, 14

⁴⁹ Alston P., Gilmour-Walsh B., the Best Interests of The Child – Towards a Synthesis of Children’s Rights and Cultural Values, UNICEF, 1996, 3

⁵⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 25 თებერვლის №ას-967-916-2015 განჩინება

⁵¹ იგივე ვალდებულებას აწესებს ბავშვის უფლებათა ჟენევის 1924 წლის დეკლარაცია; 1959 წლის 20 ნოემბერს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული ბავშვის უფლებათა დეკლარაცია; გაეროს 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია; მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი (კერძოდ, მისი 23-ე და 24-ე მუხლებით); ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი (კერძოდ, მე-10 მუხლით)

⁵² საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2016, 15

3.2.4 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე მითითება

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე⁵³ აღნიშნა, რომ ბავშვის მშობელთან დამოკიდებულებას არ გააჩნია გადაწყვეტი მნიშვნელობა, მაგრამ აღნიშნული კრიტერიუმი სხვა კრიტერიუმებთან ერთად მოითხოვს მნიშვნელოვან კვლევას.

დღეს მოქმედ ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ბავშვთან დაკავშირებული დავის განხილვისას, სასამართლო იკვლევს ყველა ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებას და სწორედ ამის შემდგომ იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. სასამართლოსთვის ასეთი თავისუფლების მიცემა განპირობებულია იმით, რომ „ბავშვთა ინტერესები არ არის ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული კატეგორია“⁵⁴

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კიდევ ერთი გადაწყვეტილება⁵⁵, სადაც განმარტებულია, რომ იმ დავებში, რომლებშიც ბავშვები არიან ჩართულნი, პირველ რიგში გასათვალისწინებელია მათი საუკეთესო ინტერესები. სასამართლომ აღნიშნა, რომ საერთაშორისო სამართალში არსებობს სრული კონსენსუსი იმ იდეის მხარდასაჭერად, რომ ყველა გადაწყვეტილებაში, რომელიც ბავშვებს უკავშირდება, მათი საუკეთესო ინტერესები არის უპირატესი. გარემოებათა სადავობის შემთხვევაში, სწორედ ბავშვის ინტერესებს ენიჭება უდავო მტკიცებულებითი ძალა. ამ მიმართებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აპელირებს „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ დებულებებზე და განმარტავს, რომ ბავშვს უფლება აქვს, მისი საუკეთესო ინტერესები შეფასდეს და მხედველობაში იქნეს მიღებული როგორც უპირატესი ღირებულება.

ვალდებულების სუბიექტად აღიარებისთვის არ არის აუცილებელი, რომ მას პირადად შეეძლოს სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლებებისა და მოვალეობების განკარგვა. მაგალითად, თუ ბავშვი მიიღებს მემკვიდრეობას, ის ჩაითვლება ნებისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობის სუბიექტად, რაც სამკვიდრო ქონების მართვასთან იქნება დაკავშირებული. ის ამ ურთიერთობებში მონაწილეობას მიიღებს

⁵³ *Johansen v. Norway*, Judgment of 7 August 1996. Reports. 1996-III. <[https://hudoc.echr.coe.int/eng#{"fulltext":\["Johansen%20v.%20Norway"\],"documentcollectionid":\["GRANDCHAMBER","CHAMBER"\],"itemid":\["001-58059"\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{)> [10.07.2019]

⁵⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 22 იანვრის №ას-1062-996-2012 განჩინება

⁵⁵ *S.L and J.L v. Croatia – Protection of children’s best interests in property deal*, Judgment, 07.05.2015 <[https://hudoc.echr.coe.int/eng-press#{"itemid":\["003-5078284-6252731"\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng-press#{)> [10.07.2019]

მშობლების, ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების მეშვეობით, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ასეთი პირი არ არის „ვალდებულების სრულფასოვანი სუბიექტი“.⁵⁶

სსკ-ის 994-ე მუხლის ფარგლებში კანონისმიერი წარმომადგენლების პასუხისმგებლობა წარმოიშობა მაშინ, როცა ბავშვმა დარღვევა ჩაიდინა მშობლის მიერ მისი მზრუნველობისა და მეთვალყურეობის მოვალეობის არასათანადო ყურადღებით შესრულების გამო.⁵⁷

3.3 არასრულწლოვნის მიერ დადებული გარიგების ნამდვილობა

საქართველოში, ისევე როგორც, გერმანიაში არსებული რეგულაციის მიხედვით, არასრულწლოვნის იმ ნების გამოვლენისთვის, რომელიც არ გამოიხატება მხოლოდ სამართლებრივი სარგებლის მიღებით, საჭიროა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. (სსკ-ის მე-15; გსკ-ის §107-ე მუხლები). კანონიერი წარმომადგენლები არიან მშობლები, მაგრამ მნიშვნელოვანია იმის დადგენა, ერთობლივი გადაწყვეტილებით უნდა განხორციელდეს ნების გამოვლენა, თუ თითოეული მშობლის მიერ დამოუკიდებლად. პირველ რიგში უნდა დადინდეს, რა იგულისხმება სამართლებრივი სარგებლის მიღებაში. გარიგება სამართლებრივად სარგებლიანია, როდესაც შეზღუდულქმედუნარიანი პირი არ კისრულობს ვალდებულებას, რაც ხდება ცალმხრივი, მხოლოდ ხელშეკრულების მეორე მხარისათვის მავალდებულებელი ხელშეკრულების შემთხვევაში.⁵⁸ მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ მხარეთა შორის გარიგების დადება დამოკიდებული იყო თანხმობაზე და რომლის გარეშეც ეს გარიგება ბათილია, - მოწონების შემთხვევაში მიიჩნევა, რომ მხარეთა შორის დადებული თანხმობასავალდებულო გარიგება თავიდანვე ძალმოსილი იყო. შემდგომში მიცემული თანხმობა ძალას ანიჭებს ასევე არაუფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებულ ქონებრივ განკარგვებს.⁵⁹ მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ გსკ-ის §1629 პარაგრაფის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების პირველი ნაწილის შესაბამისად, მშობლების მიერ პირის წარმომადგენლობის შემთხვევაში საჭიროა ორივე მშობლის თანხმობა.⁶⁰ თავისი სამართლებრივი ბუნებით, თანხმობა ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენაა.

⁵⁶ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელმწიფო სამართალი, თბ., 2014, 41-42

⁵⁷ ბიჭია მ., კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, 2016, 263

⁵⁸ კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თბ., 2014, გვ. 31

⁵⁹ ჭეჭელაშვილი ზ., სახელმწიფო სამართალი, თბ., 2014, 57

⁶⁰ კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თბ., 2014, გვ. 34 (იხ. ამონარიდი მე-13 გამოცემიდან)

რაც შეეხება მოწონებას, მესამე პირის მიერ ცხადდება მხარეთა მიერ გარიგების დადების შემდეგ. მას უკუქცევითი ძალა აქვს გარიგების დადების მომენტიდან, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი.⁶¹ ზოგადი თანხმობა არ შეიძლება იყოს შეუზღუდავი, თუ რა ფარგლებშია ზოგადი თანხმობა საკმარისი, ცალკეულ შემთხვევაში დგინდება „განვრცობითი განმარტების“ შედეგად.⁶²

3.3.1 საქართველოში არსებული პრაქტიკა

საქართველოში არსებული პრაქტიკის მიხედვით, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში უძრავი ნივთის განკარგვასთან დაკავშირებული გარიგებების რეგისტრაციის მიზნით, კანონიერი წარმომადგენლობის უფლება აქვს თითოეულ მშობელს ცალ-ცალკე, თუმცა სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ აღნიშნული ფაქტი სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია.

სამოქალაქო კოდექსის მე-15 მუხლთან მიმართებით, საინტერესოა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება,⁶³ სადაც განმარტებულია, რომ არასრულწლოვანი, თავისი ასაკიდან გამომდინარე, ითვლება სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების დადების უნარის არმქონედ. მას არ შესწევს უნარი, კანონიერი წარმომადგენლისაგან დამოუკიდებლად მიიღოს მონაწილეობა სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში ან ნებისმიერ სხვა სფეროში და თვითონ გამოავლინოს ნება გარიგების დადების მიზნით, განახორციელოს ნებელობითი აქტივობა გარიგების დადებასა და შესრულებასთან დაკავშირებით და ამგვარი ნების გამოვლენით შეიზოჭოს თავი კერძო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულებებით. სამოქალაქო კოდექსი არასრულწლოვნის სამართლებრივ სტატუსს იურიდიული შინაარსის მიხედვით ორ კატეგორიად განიხილავს. კერძოდ, 7 წლამდე (მცირეწლოვანი), რომელსაც ტოტალური ქმედუუნაროს სტატუსი გააჩნია და 7-18 წლამდე - (არასრულწლოვანი), რომელიც სარგებლობს ქმედუუნარიანობის შეზღუდული ფარგლებით. პირველ შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილი მცირეწლოვნის მიერ ნების გამოვლენას უპირობოდ ბათილ გარიგებად მიიჩნევს, მიუხედავად იმისა, იღებს თუ არა არასრულწლოვანი პირი სამართლებრივ სიკეთეს, ან არსებობს თუ არა მისი კანონიერი

⁶¹ ჭეჭელაშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 57

⁶² იხ. კროპკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თბ., 2014, 34

⁶³ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 10 მაისის №28/207-18 გადაწყვეტილება <<http://temida.mylaw.ge/fullcase/894///--.pbn>> [10.07.2019]

წარმომადგენლის თანხმობა. მცირეწლოვნის მხრიდან ნების გამოვლენა ხდება მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს მხოლოდ მცირეწლოვანის ინტერესების შესაბამისად. რაც შეეხება შეზღუდული ქმედუნარიანის მიერ ნების გამოვლენას, სამოქალაქო კოდექსის 63-ე მუხლი ასეთ გარიგებებს საცილო გარიგებათა რიცხვს მიაკუთვნებს, სადაც ნების გამოვლენის იურიდიული მნიშვნელობა ორ ალტერნატიულ სავალდებულო პირობაზეა დამოკიდებული: იღებს თუ არა არასრულწლოვანი პირი სარგებელს, ან არსებობს თუ არა არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენლის მოწონება (თანხმობა) გარიგების თაობაზე. თუმცა, 7-18 წლამდე არასრულწლოვანი პირისათვის ნების გამოვლენის შეზღუდულად მინიჭება არ გამორიცხავს მისი კანონიერი წარმომადგენლის შესაძლებლობას, დამოუკიდებლად დაამყაროს სამართლებრივი ურთიერთობა არასრულწლოვნის სახელით, მისივე აქტივების გამოყენებით.

მოცემულ საქმეზე სასამართლომ მიიჩნია, რომ ბავშვის ნამდვილი ინტერესი არ იყო სახეზე, ცალსახა იყო, რომ არასრულწლოვნის მშობლებმა (კანონიერმა წარმომადგენლებმა) დაარღვიეს შვილის ქონებრივი უფლებები, მათი უფლება ამ ნაწილში ქონების მართვითა და და გამოყენებით შემოიფარგლებოდა, სინამდვილეში კი მათ იპოთეკით დატვირთეს ქონება, რამაც მისი იძულებით რეალიზებისა და მოსარჩელის საკუთრების უფლების დაკარგვის საფრთხე შექმნა. ბავშვის ქონების დაკარგვის საფრთხის არსებობა კი იმთავითვე ბავშვის ინტერესების საზიანოა. ამდენად, მშობლების მიერ აღებული სესხის უზრუნველსაყოფად არასრულწლოვანი ბავშვის ქონების იპოთეკით დატვირთვა ბავშვის ინტერესის საწინააღმდეგო გარიგებაა. ამ კონკრეტულ საქმეზე დადგენილია, რომ არასრულწლოვანის მამის მიერ სესხის მიღების მიზანი იყო არასრულწლოვანის კუთვნილ იპოთეკით დატვირთულ კომერციულ ფართში სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება, რაც ვერ განხორციელდა. სასამართლოს მიაჩნია, რომ ბავშვის კუთვნილი ქონების იპოთეკით დატვირთვა, მშობლის მიერ აღებული სესხის უზრუნველსაყოფად, არ შეიძლება მიჩნეული ყოფილიყო 17 წლის არასრულწლოვანის ნების შესაბამისად. რაც შეეხება ბავშვის ინტერესს, მოცემულ შემთხვევაში, სახეზე არ იყო ბავშვის ნამდვილი ინტერესი, რადგან ბიზნესის დასაწყებად სესხის აღება, თუნდაც ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ბავშვის ნამდვილ ეკონომიკურ ინტერესს არ შეესატყვისებოდა, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც დადგენილია, რომ სესხად აღებული თანხებით ბიზნესის წარმოება ვერ მოხერხდა. ბავშვის ქონების დაკარგვის საფრთხის არსებობა კი იმთავითვე ბავშვის ინტერესების საზიანოა. „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ 32-ე

მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის უფლებას, დაცული იყოს ეკონომიკური ექსპლუატაციისაგან. ეკონომიკურ ექსპლუატაციაში იგულისხმება ბავშვის შრომითი რესურსის ბოროტად გამოყენება, ასევე მისი ქონებით არამიზნობრივად, ბავშვის ინტერესების საზიანოდ სარგებლობა, ბავშვის ქონების ბავშვის ინტერესების საწინააღმდეგოდ განკარგვა. ბავშვის ქონებით არამიზნობრივი სარგებლობა სახეზეა, როდესაც სარგებლობას ბავშვის ქონების შემცირება ან მისი სრული მოსპობა სდევს თან და, ამასთან, ამგვარი სარგებლობის მიზანს ბავშვის ინტერესი არ ამართლებს. შესაბამისად, სასამართლომ მიუთითა, რომ ბავშვის ქონება უნდა განიკარგოს მხოლოდ ბავშვის ინტერესებში. ქონების განკარგვა, მათ შორის, ქონების გასხვისება, ბავშვის პირდაპირ ინტერესს შეესაბამება, თუ ბავშვის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესება ბავშვის ისეთ მაღალ ინტერესს შეესატყვისება, როგორცაა, მისი ჯანმრთელობა, განათლება, უსაფრთხოება და ა. შ. ზემოაღნიშნული კონვენციის შესაბამისად, სწორედ სახელმწიფოა ვალდებული შექმნას იმგვარი საკანონმდებლო ბერკეტი, რომლის შესაბამისადაც, ბავშვის ქონების განკარგვა სპეციალურ, საამისოდ კომპეტენტური ორგანოების ნებართვას საჭიროებს, ხოლო ბავშვის ინტერესის გონივრული შეფასება მათ ზედამხედველობას ექვემდებარება. ამ მიმართებით, საინტერესოა, ის საკანონმდებლო რეგულაცია, რომელსაც ქართული კანონმდებლობა ითვალისწინებს. ბავშვის ქონებაზე გარიგების დადება, რა დროსაც, გამოკვეთილი არ არის ბავშვის *უპირატესი ინტერესი*, არღვევს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის მე-6 ნაწილის დანაწესს მასზედ, რომ მშობლების მიერ ბავშვის სახელით გარიგების დადება მხოლოდ და მხოლოდ ბავშვის უფლებებისა და ინტერესების დაცვას უნდა ემსახურებოდეს, შესაბამისად, სადავო გარიგება, როგორც ბავშვის ინტერესების საზიანო და ამგვარად, კანონსაწინააღმდეგო, ბათილია.

ზოგადად, „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტი წევრი სახელმწიფოებისადმი სამი განსხვავებული სახის ვალდებულებას ადგენს:

ა) თუ გადაწყვეტილების მიღებისას ერთმანეთს სხვადასხვა ინტერესები უპირისპირდება, ბავშვის ფუნდამენტური უფლებათა, რომ გარანტირებულად და უპირატესად მისი საუკეთესო ინტერესები შეფასდეს და გათვალისწინებულ იქნეს.

ბ) თუ სამართლებრივ ნორმას ერთზე მეტი განმარტება შეიძლება მიეცეს, არჩეულ უნდა იქნეს ის განმარტება, რომელიც ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ყველაზე ეფექტურად ემსახურება. (განმარტების ფარგლებს

გვთავაზობს ის უფლებები, რომლებიც კონვენციაში და დამატებით ოქმებშია მოცემული).

გ) ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება და განსაზღვრა მოითხოვს საპროცესო გარანტიებს. გადაწყვეტილების მიღებისას უნდა შეფასდეს ბავშვის ინტერესებზე ამ გადაწყვეტილების შესაძლო ზეგავლენის შედეგები (დადებითი თუ უარყოფითი) და გადაწყვეტილებაში პირდაპირ უნდა აისახოს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები უპირატესად შეფასდა და მხედველობაში იქნა მიღებული.

მნიშვნელოვანია განიმარტოს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანება - „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, რომლის 25-ე მუხლის II ნაწილის მიხედვით, არასრულწლოვანს სანოტარო მოქმედებაში წარმოადგენს ერთ-ერთი კანონისმიერი წარმომადგენელი, თუ არასრულწლოვნის მშობელთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი. არასრულწლოვნის საკუთრებაში არსებულ რეგისტრაციას დაქვემდებარებულ ნივთზე გარიგების დამოწმებისას ივარაუდება, რომ არასრულწლოვნის მშობელთა შეთანხმება ერთობლივი წარმომადგენლობის შესახებ არ არსებობს, თუკი ეს შეთანხმება არ არის რეგისტრირებული მარეგისტრირებელ ორგანოში. ვფიქრობ ამ შემთხვევაში ივარაუდება მშობლების შეთანხმებული მოქმედება არასრულწლოვნის ინტერესების შესაბამისად, ვინაიდან, ზოგადად, თუ მშობლები თავიანთ უფლება-მოვალეობებს სათანადოდ ვერ ახორციელებენ და იყენებენ შვილების ინტერესების საწინააღმდეგოდ, შეიძლება დაისვას საკითხი მათთვის ან ერთ-ერთი მათგანისთვის მშობლის უფლებისა და მოვალეობის ჩამორთმევის შესახებ.⁶⁴

ასევე, მნიშვნელოვანია, განვიხილოთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, სადაც დავის საგანი იყო იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.⁶⁵ აღნიშნულ საქმეში საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნები ბავშვის უფლებების საერთაშორისო კონვენციის მესამე მუხლიდან გამომდინარე. ამ მუხლის მიზანთან დაკავშირებით დაიმოწმა საქართველოს წინააღმდეგ ერთ-ერთ საქმეზე ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს განმარტება, რომლის მიხედვითაც, „ბავშვთა უფლებების კონვენციის“ მე-3 მუხლის მიზანია, უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა მის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას. ბავშვის საუკეთესო

⁶⁴ შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბ., 2017, 179

⁶⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 20 მაისის №ას-1221-1146-2015 განჩინება

ინტერესები არის იმ საპროცესო უფლების მსგავსი, რომელიც სახელმწიფოს ავალდებულებს, ქმედების პროცესში დანერგოს ისეთი ნაბიჯები, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება. **(იხ.ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (განაცხადი N. 71776/12), 2 თებერვალი 2016 წელი).** არასრულწლოვნის კანონიერმა წარმომადგენლებმა - მშობლებმა მოცემულ შემთხვევაში დაარღვიეს შვილის ქონებრივი უფლებები. მათი უფლება ამ ნაწილში ქონების მართვითა და გამოყენებით შემოიფარგლებოდა (სსკ-ის 1198-ე მუხლის მეოთხე ნაწილი), სინამდვილეში კი, მათ იპოთეკით დატვირთეს ქონება, რამაც განაპირობა შემდგომში მისი რეალიზაცია და მასზე მოსარჩელის საკუთრების უფლების დაკარგვა, ანუ ვლინდება ინტერესთა კონფლიქტი ბავშვსა და მშობლებს შორის. შესაბამისად, საქმეში უნდა ჩართულიყო მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, როგორც ბავშვის ინტერესების დამცველი მხარე. ამ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო ეყრდნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ამონარიდს, რომლის მიხედვითაც, „საქმისწარმოებაში, რომელიც ზეგავლენას ახდენს ბავშვზე და სადაც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით, მშობლის პასუხისმგებლობის მტვირთველ პირებს ეკრძალებათ ბავშვის წარმომადგენლობა, მათ და ბავშვს შორის წარმოქმნილი ინტერესთა კონფლიქტის გამო, სასამართლო ხელისუფლებას უნდა გააჩნდეს უფლებამოსილება, დანიშნოს სპეციალური წარმომადგენელი ამ საქმის წარმოების მიზნებისთვის“.

სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, არსებობს თუ არა ამ ნორმებით გათვალისწინებული ფაქტობრივი წინაპირობები, კერძოდ, კეთილსინდისიერად და მართლზომიერად მოქმედება თუ არა გამსესხებელი მიკროკრედიტის გაცემისას. იყო თუ არა კრედიტუნარიანი მსესხებელი და არსებობდა თუ არა სესხის გაცემის წინაპირობები. თუ სააპელაციო სასამართლო დაადგენს, რომ მსესხებელს სესხის მიღების დროს არ გააჩნდა დამოუკიდებელი შემოსავლები (ხელფასის ან სხვა შემოსავლების სახით), მაშინ, ცხადია, რომ გამსესხებელი მხოლოდ იპოთეკის საგნის იმედად რჩებოდა და, შესაბამისად, მის მოქმედებას ყველა კეთილსინდისიერი და საღად მოაზროვნე ადამიანი საზოგადოებაში დამკვიდრებული ზნეობრივი პრინციპების საწინააღმდეგო მოქმედებად შეაფასებდა.

საყურადღებოა კიდევ ერთი გადაწყვეტილება⁶⁶, სადაც განმარტებულია, რომ მშობლის უფლება-მოვალეობების სისტემა ქონებრივი და არაქონებრივი შინაარსით განიხილება, თუმცა ორივე შემთხვევაში მათი რეალიზაცია უნდა ხორციელდებოდეს *"the interests of child"* („ბავშვის საუკეთესო ინტერესი“) პრინციპის განუხრელი დაცვით. აღნიშნული პრინციპი არ არის მხოლოდ დეკლარაციული ხასიათის. მიუხედავად ამისა, მშობლის მიერ უფლებებისა და მოვალეობების რეალიზაციის ყველა ასპექტის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია, რადგან თითოეულ ოჯახში არსებობს ბავშვის აღზრდის სხვადასხვა ტრადიციული შეხედულებები. საკითხი, თუ რამდენად შეესაბამება მშობლის წარმომადგენლობითი მოქმედება არასრულწლოვანის ინტერესებს, უნდა ფასდებოდეს ამ ურთიერთობის მიღმა, დამოუკიდებლად, რათა გამოირიცხოს ყოველგვარი სუბიექტივიზმი.

3.3.2 ქმედუნარიანობა, როგორც წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობის წინაპირობა

ქმედუნარიანობა სსკ-ის მიხედვით, არის ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით, სრული მოცულობით, შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. განსხვავებით ქმედუნარიანობისგან, უფლებაუნარიანობა შეიძლება განიმარტოს როგორც პირის უნარი, ჰქონდეს კონკრეტული უფლებები. უფლებაუნარიანობა ზოგადი ცნებაა, ხოლო უფლება კი - კონკრეტული.⁶⁷ მხოლოდ უფლებაუნარიანი პირი, როგორც სამართლის სუბიექტი, შეიძლება იყოს სამოქალაქო უფლებათა მატარებელი. მხოლოდ უფლებაუნარიანი პირი სამართლის პასიური სუბიექტია, ქმედუნარიანობა მას სამართლის აქტიურ სუბიექტად აქცევს, რაც გარიგებაუნარიანობის შეძენასთანაა დაკავშირებული.⁶⁸

როგორც ვიცით, „ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე, მაგრამ კანონი არ ამბობს, რომ ყველა ადამიანი თანასწორია“.⁶⁹ კანონი არ ცდილობს იმ განსხვავებათა ნიველირებას, რომელიც ეფუძნება ცხოვრებისეულ ურთიერთობათა სფეროში არსებულ უთანასწორობებს. ტოტალური სოციალური თანასწორობა ისევე ეწინააღმდეგება სამართლიანობის არსს, როგორც სოციალური უთანასწორობის გაუმართლებელი მასშტაბები.⁷⁰

⁶⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 13 ივლისის №ას-809-809-2018 განჩინება

⁶⁷ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 176

⁶⁸ ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., 2005, გვ. 209

⁶⁹ ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბ., 2004, 77

⁷⁰ იხ. იქვე

როგორც ცნობილია, გარიგებაუნარიანობა სამართლებრივად მნიშვნელოვანი ნების გამოვლენის უნარია, რაც გარკვეულ ასაკში ჩნდება და სხვადასხვა გარემოებებზეა დამოკიდებული.⁷¹

უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ფიზიკური პირის სამართლებრივი სტატუსის ცვლილებას ჩაეყარა საფუძველი, პრინციპული ნოვაცია განიცადა ქმედუნარიანობის სამოქალაქო კოდექსისეულმა კონცეფციამ და გაუქმდა „ქმედუნარიანობის ინსტიტუტი“.⁷² 2015 წლის 20 მარტს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, სიახლეა, რომ ნორმა ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირს აღიარებს ქმედუნარიან პირად. ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი, ანუ პირი, რომელსაც აქვს ფსიქიკური, გონებრივი ან/და ინტელექტუალური დარღვევები სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში მიიჩნევა ქმედუნარიანად, ანუ სუბიექტად, რომელსაც შეუძლია თავისი ნებით და მოქმედებით განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. სსკ-ის მე-12 მუხლის I ნაწილში მითითებული სუბიექტისგან განსხვავებით, ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირს თავისი ნების და მოქმედების განსახორციელებლად ესაჭიროება სხვა პირის დახმარება (მხარდაჭერა). მუხლში მითითებული ცნებაც ნორმის ამ არსის გამომხატველია.⁷³ აღსანიშნავია, რომ საქართველოში, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, „ქმედუნარო“ პირი არასდროს განიხილებოდა სამართლის ობიექტად, თუმცა მათ ეკმდებოდათ სამოქალაქო ქორწინების, სასამართლოსადმი მიმართვას და სხვა მსგავსი ფუნდამენტური უფლებების გამოყენება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისა და პარლამენტის მიერ გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების“ კონვენციის რატიფიცირების შემდეგ, (აღნიშნული კონვენცია საქართველოს პარლამენტის მიერ 2013 წლის 26 დეკემბერს იქნა რატიფიცირებული და ძალაში შევიდა 2014 წლის 12 აპრილიდან) საქართველომ აიღო ვალდებულება სამართლებრივად უზრუნველყოს კონვენციით აღიარებული უფლებების დაცვა. აღნიშნული კონვენციის თანახმად: „წევრი-სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, მიიღონ ყველა საჭირო საკანონმდებლო, ადმინისტრაციული ან სხვა ზომა ამ კონვენციით აღიარებული ყველა უფლების უზრუნველსაყოფად; მიიღონ ყველა საჭირო

⁷¹ ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., 2005, 209

⁷² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532,533 გადაწყვეტილება

⁷³ ზოიძე ბ., კორძია თ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, civilcode.ge, ბოლო დამუშავება 24.12.2017, მუხ. 12, ველი 3, [23.06.2019]

ზომა, საკანონმდებლოს ჩათვლით, რათა შეცვალონ, ან გააუქმონ კანონები, დადგენილებები, ადათები და პრაქტიკები, რომლებიც დისკრიმინაციულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ.” ნორმის ამ სახით ჩამოყალიბების მიზანი ფსიქიკური ან გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ წარსულში არსებული უთანასწორო, დისკრიმინაციული მიდგომის აღმოფხვრაა. ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი სხვებთან თანასწორ პირობებში თავისი ნებით განახორციელებს საკუთარ სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებს.⁷⁴ აღნიშნული კონვენციის საფუძველზე, გარანტირებულია თანასწორობის უფლება. ყველას ერთნაირად, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, აქვს უფლება იყოს დაცული და ისარგებლოს კანონით. მონაწილე სახელმწიფოები კრძალავენ შეზღუდული შესაძლებლობების საფუძველზე აღმოცენებულ დისკრიმინაციას და უზრუნველყოფენ მათ თანაბარ და ეფექტურ იურიდიულ დაცვას. საქართველოს სახალხო დამცველი ერთ-ერთ თავის ანგარიშში მიუთითებს, რომ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მიერ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სხვა ბავშვების თანასწორად რეალიზებისთვის სახელმწიფოს მხრიდან ყველა შესაბამისი ზომის მიღების ვალდებულებას ადგენს. კონვენციის მიდგომების თანახმად, შშმ ბავშვებთან დაკავშირებულ ნებისმიერ ქმედებაში უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებული უნდა იყოს მათი საუკეთესო ინტერესები.⁷⁵

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იურიდიული დახმარება უზრუნველყოფილია იმ პირისთვისაც, რომლის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხიც უნდა განიხილოს სასამართლომ, აგრეთვე იმ მხარდაჭერის მიმღებისთვის, რომელიც არის მხარე სამოქალაქო ან/და ადმინისტრაციულ საქმეზე, მიუხედავად მისი გადახდისუნარიანობისა, იმ შემთხვევაში, თუ მან ზოგადი წესით არ აირჩია ადვოკატი.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ფსიქიკური ჯანმრთელობა არის ადამიანის ჯანმრთელობის ფუნდამენტური ნაწილი და საზოგადოების კეთილდღეობის აუცილებელი პირობა, ხოლო ფსიქიკური აშლილობის მქონე

⁷⁴ ზოიძე ბ., კორმაია თ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, civilcode.ge, ბოლო დამუშავება 24.12.2017, მუხ. 12, ველი 4, [23.06.2019]

⁷⁵ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, 2016, 16

პირთა უფლებების დაცვა სახელმწიფოს მოვალეობაა. 16 წლამდე პაციენტს ფსიქიატრიული დახმარება გაეწევა მისი კანონიერი წარმომადგენლების თხოვნით ან/და ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე (აუცილებელია გადაწყვეტილების მიღების პროცესში პაციენტის მონაწილეობა მისი ასაკისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით), ვინაიდან დაცული იყოს მისი უფლებები და წარმომადგენელმა წარმოადგინოს მისი ინტერესები პრიორიტეტულობის გათვალისწინებით.

3.3.3 მეურვეობის, მზრუნველობისა და მხარდაჭერის ინსტიტუტი, როგორც წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობის საფუძველები

მშობლიური მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა ინტერესებისა და მათი კონსტიტუციური უფლებების დაცვის უკეთ უზრუნველყოფის მიზნით, საოჯახო სამართალი ითვალისწინებს მეურვეობისა და მზრუნველობის ინსტიტუტის არსებობას, რომლის დანიშნულებაც გამოხატულებას პოვებს მშობელთა და მშობლიური ზრუნვის გარეშე დარჩენილ ბავშვთა დროულად გამოვლენასა და აღრიცხვაში, ასეთი ორგანოების მიერ დანიშნულ მეურვეთა და მზრუნველთა საქმიანობაზე კონტროლში და რაც მთავარია, ასეთ ბავშვებს უქმნის (ყოველ შემთხვევაში უნდა შეუქმნას) ცხოვრებისა და აღზრდისათვის ოპტიმალურ პირობებს და იცავს მათ პირად და ქონებრივ უფლებებს.⁷⁶

იმ მიზნის განხორციელებისათვის, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1275-ე მუხლით განსაზღვრული პირების პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვასთან, საჭიროა სათანადო მეურვის/მზრუნველის შერჩევა. იმ პირობებში, როდესაც სასამართლო ხელისუფლება მიმართულია სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებისაკენ და სამზრუნველი პირის განსაზღვრა სკ-ის 1282-ე და 1283-ე მუხლების შესაბამისად მოითხოვს გარკვეულ დროს, ეს მხოლოდ ხელს შეუშლის სამეურვეო/სამზრუნველი პირის უფლებების დროულ დაცვასა და სრულყოფილად განხორციელებას, მაშინ როდესაც სოციალური მუშაკი სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების შემდეგ შეისწავლის მეურვის ან მზრუნველის პიროვნულ თვისებებს, დაკისრებული მოვალეობის შესრულების უნარს, ურთიერთდამოკიდებულებას, რომელიც არსებობს მასსა და სამეურვეო/სამზრუნველო პირს შორის. ხოლო აღნიშნულის შესწავლა ერთ ან ორ სასამართლო სხდომაში ვერ მოხდება, რასაც ცხადყოფს განვითარებული პრაქტიკა.

⁷⁶ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისის მე-4 გამომცემლობა, 2004, 439

მეურვის ან მზრუნველის მოვალეობის უშუალო განხორციელებისათვის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“-ს ტერიტორიული ორგანოები ნიშნავენ მეურვეს ან მზრუნველს. მეურვის ან მზრუნველის შერჩევა შესაძლებელია სამეურვეო ან სამზრუნველო პირის ახლო ნათესავების ან სხვა პირთა წრიდან. კანონმდებლობით გათვალისწინებული მეურვეობისა და მზრუნველობის უფლება-მოვალეობანი გამომდინარეობენ მეურვეობისა და მზრუნველობის ამოცანებიდან, რომლებიც ემსგავსებიან მშობელთა უფლება-მოვალეობებს, თუმცა აღნიშნული უფლება-მოვალეობის წარმოშობის საფუძველი ამ ორ შემთხვევაში სხვადასხვაა. მშობლებს მშობლის უფლება წარმოემოხაზებათ სისხლისმიერი ნათესაობის (დედობის, ან მამობის) საფუძველზე, რაც დადგენილია კანონით, ხოლო მეურვეებსა და მზრუნველებს უფლება-მოვალეობანი წარმოემოხაზებათ ადმინისტრაციული აქტის, ანუ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე.⁷⁷ მეურვეობისა და მზრუნველობის განხორციელება ატარებს ნებელობით ხასიათს, შესაბამისად მეურვისა და მზრუნველის მოვალეობა სრულდება უსასყიდლოდ. ამასთან მეურვეები და მზრუნველები ძირითადად, სამეურვეო/სამზრუნველო პირთა ნათესავები და ახლობლები არიან. საქართველოს სახალხო დამცველის ერთ-ერთ ანგარიშში მითითებულია, პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის აუცილებლობაზე.⁷⁸

მეურვეები და მზრუნველები, როგორც კანონიერი წარმომადგენლები სამეურვეო და სამზრუნველო პირებისა, არ საჭიროებენ განსაკუთრებულ უფლებამოსილებას სამეურვეო და სამზრუნველო პირების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობებში, ასევე სასამართლოში, ისინი დაინიშნულნი არიან კანონის საფუძველზე და შესაბამისად ახორციელებენ კანონით მინიჭებულ უფლებებსა და მოვალეობებს.

საკითხი იმის შესახებ, ვინ დაინიშნოს მეურვედ ან მზრუნველად ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან მისგან მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული სამეურვეო (სამზრუნველო) პირის ბედი და აღზრდისა და ცხოვრების პირობები. აღნიშნულიდან გამომდინარე მეურვის ან მზრუნველის არჩევის დროს, პირველ რიგში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი პირადი თვისებები, დაკისრებული მოვალეობის

⁷⁷ Ершова Н., Опекa и попечительство, Усыновление, Изд. “Московский рабочий” 1984, 42

⁷⁸ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, ქმედუნარიანობა - საკანონმდებლო რეფორმა იმპლემენტაციის გარეშე, 2016, 23

შესრულების უნარი, ურთიერთობა, რომელიც არსებობს მასსა და სამეურვეო ან სამზრუნველო პირს შორის და აგრეთვე როცა ეს შესაძლებელია, სამეურვეო ან სამზრუნველო პირის სურვილიც.

3.3.4 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ მას შემდეგ რაც ქონება ბავშვის საკუთრება ხდება, მიუხედავად იმისა, თუ რა საფუძვლით, კერძოდ, მემკვიდრეობით, ჩუქებით და ა. შ., მისი უფლება ქონებაზე იმთავითვე დაცვის ქვეშ ექცევა და, შესაბამისად, ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, მეურვეობის ორგანოს ნებართვის არსებობა მისი განკარგვის მართლზომიერად მიჩნევის მიზნებისათვის, სავალდებულოა. აქვე სასამართლო განმარტავს, თუ რა მიზანს ემსახურება ბავშვის ქონების განკარგვის საქმეში კანონმდებლობით სავალდებულო პირობად აღიარებული მეურვეობის ორგანოს თანხმობა. სასამართლოს განმარტებით, ბავშვები და მოხუცი ადამიანები ბინებთან დაკავშირებული თაღლითური ტრანზაქციების მთავარი სამიზნეები არიან, შესაბამისად, მეურვეობის ორგანოს ინტერესი, არ დაუშვას არასრულწლოვანის ქონების გასხვისება, არის „ლეგიტიმური და გამლიერებული დაცვის ღირსი“. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მეურვეობის ორგანო მოწოდებულია, დარწმუნდეს, რომ ბავშვის ფინანსური ინტერესები და უფლება საცხოვრებელ სახლზე ბოროტი ან გულგრილი მოქმედებებით მათი კანონიერი წარმომადგენლების, მათ შორის ბიოლოგიური მშობლების მხრიდან, არ ირღვევა.⁷⁹

მეურვე და მზრუნველი მოვალენი არიან, იცხოვრონ სამეურვეო (სამზრუნველო) არასრულწლოვან პირთან ერთად. ცალკეულ შემთხვევაში, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ნებართვით, შეიძლება მზრუნველისა და სამზრუნველო პირის ცალ-ცალკე ცხოვრება, თუ აღნიშნული ორგანო მივა იმ დასკვნამდე, რომ მათი ცალ-ცალკე ცხოვრება უარყოფით გავლენას არ მოახდენს სამზრუნველო პირის აღზრდაზე, მისი უფლებებისა და ინტერესების დაცვაზე. ბავშვის მეურვე და მზრუნველი ვალდებული არიან, შეასრულონ მათთვის დაკისრებული მშობლის მოვალეობები. იზრუნონ სამეურვეო (სამზრუნველო) პირის რჩენისათვის, შეუქმნან მას აუცილებელი ყოფითი პირობები, უზრუნველყონ მოვლით და მკურნალობით, დაიცვან მისი უფლებები და ინტერესები.

⁷⁹ Case of Lazarev v. Russia, Judgment, 05.01.2007, <[https://hudoc.echr.coe.int/eng#{"fulltext":\["Lazarev%20v.%20Russia"\],"documentcollectionid":\["GR ANDCHAMBER"\],"chamber":\["CHAMBER"\],"itemid":\["001-77253"\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{)> [10.07.2019]

IV. წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლები

წარმომადგენლობითი უფლებამოსილების (მინდობილობის) განხილვისას, მნიშვნელოვანია ამ უფლებამოსილების ფარგლებთან დაკავშირებული საკითხი. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება არის მისი (წარმომადგენლის) შესაძლებელი ქცევის ზომა მესამე პირებთან ურთიერთობაში.⁸⁰

მნიშვნელოვანია, განვიხილოთ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება⁸¹, ვინაიდან ამ შემთხვევაში, სადავო იყო ნივთის „განარგვაში“ ნაგულისხმევი მესაკუთრის ნება, ყურადღება მისაქცევი იმ საკითხზე, რომ მესაკუთრე მითითებულ სანოტარო აქტში სპეციალურად აღნიშნავს იმ უფლებამოსილებს, რომელსაც ანიჭებდა წარმომადგენელს, კერძოდ, ტერმინ „განკარგვაში“ გულისხმობს მინდობილი ქონების გასხვისებას ნებისმიერი ფორმით - ჩუქებას, გაცვლას, ყიდვას, გაყიდვას, რაც პრაქტიკულად მესაკუთრის ნამდვილი ნების დასადგენად გვაიძულებს „განკარგვის“ ცნება განვმარტოთ ვიწროდ, მხოლოდ მინდობილობის შინაარსიდან გამომდინარე და არა ისე, როგორც ეს მოცემულია სამოქალაქო კოდექსში, რომელიც სამართლებრივი ბედის გადაწყვეტას მოიცავს ფართო გაგებით. კერძო სამართლებრივი ურთიერთობის თავისებურება და ნების გამოვლენის ავტონომიაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ კერძო სამართლის სუბიექტები უფლებამოსილი არიან დადონ ისეთი გარიგებებიც და იმგვარად განსაზღვრონ მათი შინაარსი, რომელიც არ არის მოცემული სამოქალაქო კოდექსით, მაგრამ არ ეწინააღმდეგება ზოგადად საჯარო წესრიგსა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს (სკ-ის მე-10 მუხლის მე-2 ნაწ.).

ამდენად, მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის მინდობილობაში ჩამოთვლილ უფლებამოსილებათა დიფერენციაცია გარიგებაში გამოვლენილი მესაკუთრის ნამდვილი ნების განმარტებისათვის საგულისხმო მინიშნებას გვამღებს. ის გარემოება, რომ მესაკუთრე კონკრეტულად ჩამოთვლის უფლებამოსილებათა ნუსხას, როგორცაა ჩუქება, გაქირავება, იჯარით გაცემა, მიგვითითებს სწორედ იმ გარემოებაზე, რომ „განკარგვის“ ცნების მიღმა ვიგულისხმობთ არა ყველა ის

⁸⁰ თუმანიშვილი გ., გარიგებები (სამართლებრივი ბუნება და ნორმატიული რეგულირება), თბ., 2012, 91

⁸¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 22 აპრილის №ას-411-388-2014 გადაწყვეტილება

უფლებამოსილებები, რაც ნივთის სამართლებრივი ბედის გადაწყვეტის სამოქალაქო კოდექსისეულ საშუალებას გვაძლევს, არამედ მხოლოდ ისინი, რომლებიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში, თავად მესაკუთრემ განსაზღვრა, როდესაც მის მიერ გაცემულ მინდობილობაში პირდაპირ მიუთითა არ დაეტვირთა მისი საკუთრების უფლებით რეგისტრირებული უძრავი ქონება იპოთეკით ფიზიკური პირის სასარგებლოდ, რადგან „გასხვისება“ და „იპოთეკით“ დატვირთვა განსხვავებული სამართლებრივი ცნებებია.

4.1 უძრავი ქონების მართვა/განკარგვა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების საფუძველზე

საქართველოში არსებული პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, დგინდება, რომ როდესაც წარმომადგენელს ენიჭება უფლებამოსილება მართოს და განკარგოს (მართვისა და განკარგვის კონკრეტული ფორმების დაკონკრეტების გარეშე) უძრავი ქონება, იგი **უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა** ამ უძრავ ნივთთან დაკავშირებით, კერძოდ: გაასხვისოს, დატვირთოს იპოთეკით ან სხვა სანივთო/ვალდებულებითი უფლებით, ასევე გამიჯნოს, დააზუსტოს, გააერთიანოს სხვა უძრავ ნივთთან და სხვა.

როდესაც მინდობილობა წარმოდგენილია მართვა/განკარგვის უფლებამოსილებით, მაგრამ ამავდროულად დაკონკრეტებულია ამომწურავად რწმუნებულებით მინიჭებული მართვისა და განკარგვის ფორმები, (მაგალითად, მოცემულია ასეთი ფორმულირებით: მართოს, განკარგოს ჩემს საკუთრებაში არსებული უზრავი ქონება, **კერძოდ:** „გაასხვისოს, დატვირთოს იპოთეკის, იჯარის და უზუფრუქტის უფლებით“.) ასეთ შემთხვევაში, რწმუნებულის უფლებამოსილება ნივთის განკარგვის ნაწილში **განისაზღვრება მხოლოდ მითითებული უფლებამოსილებით.**

როდესაც მინდობილობა წარმოდგენილია მართვა/განკარგვის უფლებამოსილებით, მაგრამ მართვისა და განკარგვის ფორმები მოცემულია ასეთი ფორმულირებით: „მართოს და განკარგოს ჩემს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, **მათ შორის:** გაასხვისოს, დატვირთოს იპოთეკის, იჯარის, უზუფრუქტის უფლებით“, ასეთ შემთხვევაში, რწმუნებულის უფლებამოსილება ნივთის განკარგვის და მართვის ნაწილში, წინა პუნქტით მოცემული შემთხვევისგან განსხვავებით **არ შემოიფარგლება მხოლოდ ჩამოთვლილი უფლებამოსილებით.**

თუ რწმუნებულს ენიჭება მხოლოდ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, ეს ნიშნავს რომ მას არ აქვს მინიჭებული ნივთის

განკარგვითი ან მართვითი უფლებამოსილება. ამგვარი მინდობილობის საფუძველზე, რწმუნებული უფლებამოსილია მოითხოვოს ინფორმაცია, ან საკუთრების ან სხვა უფლების რეგისტრაცია მხოლოდ უფლებამოსილი პირის მიერ დადებული გარიგების საფუძველზე.

და ბოლოს, თითოეული მინდობილობა უნდა შეფასდეს მისი შინაარსიდან გამომდინარე, მარწმუნებლის ნების ფორმულირების ზუსტი ანალიზის საფუძველზე.

4.1.1 ბათილი გარიგების სამართლებრივი შედეგები

მესაკუთრის ნების არარსებობის შემთხვევაში, საკუთრების მკაცრად განუსხვისებლობის პრინციპის დაცვა დასაშვებია მხოლოდ სუსტად განვითარებული სასაქონლო ბრუნვის პირობებში. ბრუნვის სწრაფ განვითარებას, რაც თავისთავად გულისხმობს უპიროვნო დინამიკის ზრდას, მიყვავართ საგამონაკლისო წესების რიგორიზმთან შეჯახებამდე. გამოსავალი ამ დაპირისპირების შერბილებაშია და სწორედ ამიტომ, კანონმდებელი მიმართავს ე.წ. ორ ბოროტებას შორის „ნაკლები ბოროტების“ არჩევანის გზას, რაც კეთილსინდისიერი ინსტიტუტის შემოღებას უკავშირდება. (სსკ-ის 185-187-ე მუხლები).⁸²

სასამართლო პრაქტიკის წინაშე მეტად მწვავედ დგას მესაკუთრისთვის იმ ბათილი გარიგების სამართლებრივი შედეგების საკითხი, როცა სათანადო უფლებამოსილების გარეშე ასხვისებენ მის ქონებას. ზოგიერთი ავტორის მოსაზრებით, „ის გარემოება, რომ მყიდველი შეიძლება აღმოჩნდეს კეთილსინდისიერი შემძენის როლში, რომლის მიმართაც კანონმდებელი არ უშვებს ვინდიკაციას, არ უნდა უშლიდეს მესაკუთრეს ხელს, წარადგინოს სარჩელი ბათილი (არარა) გარიგების შედეგებიდან გამომდინარე.“⁸³ მესაკუთრეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, შეარყიოს საკუთრების წარმოშობის სამართლებრივი საფუძველი - ხელშეკრულება, თუ ის დადებულია სსკ-ის 54-59-ე მუხლების მოთხოვნათა დარღვევით. არარა გარიგებები სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს და შესაბამისად, რეალურად არ მოხდება ამგვარი ნასყიდობის დროს საკუთრების უფლების გადაცემა მყიდველზე; ანუ, ასეთ შემთხვევებში, მყიდველის კეთილსინდისიერება დამაბრკოლებელი გარემოება არ უნდა იყოს ე.წ. „ტიტულოვანი მესაკუთრისათვის“, თუმცა, ამ პოზიციის მომხრეებს ავიწყდებათ ის, რომ კონდიქციური ვალდებულებების მომწესრიგებელი

⁸² თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, თბ., 2006, 11

⁸³ ბრაგინსკი მ., ვიტრიანსკი ვ., სახელშეკრულებო სამართალი, მოსკოვი, 1997 წელი, გვ. 654, მითითებულია თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, თბ., 2006, 11

ნორმების მიხედვით, უსაფუძვლოდ მიღებული უბრუნდება გარიგების მხარეს და არა მესაკუთრეს.⁸⁴

4.1.2 საქართველოში არსებული სასამართლოს პრაქტიკა

ერთ-ერთ საქმეზე⁸⁵ მინდობილობის შინაარსის მიხედვით, მინდობილი პირი უფლებამოსილი იყო „საკუთრების მიმდობის“ სახელით დაედო კანონით ნებადართული ნებისმიერი სახის გარიგებები „მინდობილ საკუთრებასთან“ დაკავშირებით, კერძოდ: **გაეყიდა, გაეჩუქებინა, გადაეფორმებინა თავის სახელზე**, ნებისმიერი საბანკო დაწესებულებიდან ან კერძო პირისაგან აელო კრედიტი, რომლის უბრუნველსაყოფად შეეძლო დაეტვირთა იპოთეკით „მინდობილი საკუთრება“, გაეფორმებინა ხელშეკრულებები, ქონების გადაცემის აქტები და სხვა აუცილებელი დოკუმენტები, **მიეღო საჭირო გადაწყვეტილება, მათ შორის, განესაზღვრა გარიგების თანხები**, ვადები ან სხვა პირობები. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ დასახელებული მინდობილობის ფარგლებში მინდობილი პირი უფლებამოსილი იყო დაედო წილის გასხვისების ხელშეკრულება. გარიგების საგანი წარმოადგენდა სამოქალაქო ბრუნვის ობიექტს. ამასთან, რაიმე კანონსაწინააღმდეგო ან საჯარო ინტერესების საწინააღმდეგო დებულებას სადავო გარიგება არ შეიცავდა. კასატორის პოზიცია კი, იმასთან დაკავშირებით, რომ ნასყიდობის ფასი არადეკვატური იყო, რის გამოც მინდობილი პირის ქმედება უნდა შეფასდეს, როგორც მინდობილობით მინიჭებული უფლების ბოროტად გამოყენებად, ვერ იქნება გაზიარებული საკასაციო პალატის მიერ, გამომდინარე იქიდან, რომ სამოქალაქო კანონმდებლობა მხარეებს ანიჭებს **ნების თავისუფალი გამოვლენის უფლებამოსილებას**, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მათ შორის, სახელშეკრულებო ურთიერთობათა **წარმოშობა, მათივე ნებაზეა დამოკიდებული** და ამ ურთიერთობის შინაარსი განსაზღვრავს გარიგების მიზანს ანუ, იმ სამართლებრივ შედეგს, რომლის მიღწევაც სურთ ნების გამომვლენ მხარეებს. იმგვარი ხელშეკრულება, როგორცაა ნასყიდობა დადებულად ითვლება როდესაც მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების არსებით პირობებზე. ერთ-ერთი არსებითი პირობაა შეთანხმება ფასზე. ფასზე შეთანხმებისას მხარეები შეზღუდულნი არ არიან და მისი განსაზღვრა აბსოლუტურად ექცევა ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლად განსაზღვრის ფარგლებში. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, მინდობილობის მიმღებს მინიჭებული ჰქონდა ნასყიდობის გაფორმების, მათ შორის, გარიგების ფასის განსაზღვრის უფლებამოსილება,

⁸⁴ თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, თბ., 2006, 11

⁸⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 13 ოქტომბრის №ას-788-745-2015 განჩინება

ნასყიდობის ფასზე, როგორც გარიგების ბათილობის საფუძველზე აპელირება, იურიდიულ საფუძველსა მოკლებულია.

თუმცა აღსანიშნავია ერთ-ერთ საქმეზე⁸⁶ საკასაციო პალატის განმარტება, სადაც მან მიუთითა, რომ მიუხედავად იმისა, რომ განკარგვა მფლობელობასა და სარგებლობასთან ერთად არის საკუთრების უფლების ელემენტი, რომელშიც ყველაზე მეტად ვლინდება საკუთრების უფლების ხასიათი, განკარგვაში იგულისხმება ქონების ყიდვა-გაყიდვა, გაჩუქება, გაქირავება, იჯარით გაცემა, შესანახად მიზარება, გაცვლა და ა.შ. თვით ნივთის მოსპობის ჩათვლით. მისი სამართლებრივი ბუნების მთავარი მახასიათებელი არის ის, რომ განკარგვის შედეგად ხორციელდება ქონების გასხვისება, მაგრამ განკარგვა გულისხმობს ისეთ შემთხვევებსაც, როცა არ ხდება ნივთის გასხვისება, არამედ მესამე პირებს დროებით მფლობელობასა და სარგებლობაში გადაეცემა, ანუ განკარგვით წყდება საგნის იურიდიული ბედი ან წყდება საკუთრების უფლება, ან ნდროებით შეჩერდება სარგებლობისა და პირდაპირი მფლობელობის უფლება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მინდობილობით დაზუსტებული იყო, რომ ბინის განკარგვის უფლებაში იგულისხმებოდა იჯარით გაცემის უფლება. საკასაციო პალატის აზრით, მოცემულ შემთხვევაში რწმუნებულს ჰქონდა ნივთის გაქირავების უფლებაც, ვინაიდან თავისი სამართლებრივი ბუნებით ქირავნობისა და საიჯარო ურთიერთობები მსგავსი სამართლებრივი ურთიერთობებია, თუმცა აღნიშნული არ მოიცავდა იპოთეკით დატვირთვის უფლებასაც. მნიშვნელოვანია ისიც, რომ იპოთეკით დატვირთვა განეკუთვნება განკარგვის ისეთ სახეს, რასაც ნივთის გასხვისების ალბათობა ახლავს თან. მინდობილობა კი განკარგვის ისეთ სახეს ითვალისწინებდა, რომელიც გულისხმობდა არა ნივთის საკუთრებიდან გასვლას, არამედ მხოლოდ სარგებლობისა და პირდაპირი მფლობელობის უფლების გადაცემას, თანაც არა მის ყველას სახეს, არამედ კონკრეტულს - იჯარას (ქირავნობას).

4.2 წარმომადგენლის ვალდებულება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის არსებობისას

სსკ-ის 111-ე მუხლში არსებითად მეორდება გსკ-ის §117-ე პარაგრაფის დებულება. გარიგება მერყევად ბათილია მარწმუნებლის მიმართ მოქმედების თვალსაზრისით. აღნიშნული ნორმის მიხედვით, მოჩვენებითი გარიგება (*სიმულირებული გარიგება*) სახეზეა, როდესაც გარიგების მონაწილეები ერთმანეთთან შეთანხმებით გარიგებას დებენ მხოლოდ გარეგნული

⁸⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 23 მარტის №ას-531-864-05 განჩინება

ჩვენებისთვის ისე, რომ მათ არ სურთ მასთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგების დადგომა (*ბოჭვის ნების არარსებობა*). შეთანხმება არ არის გარიგება და, ამდენად, საკმარისია იმ საერთო უფლებამოსილებით აღჭურვილი წარმომადგენლის სიმულირებულობის შეგნება, რომელსაც არ აქვს სპეციალური უფლებამოსილება.⁸⁷ რაც შეეხება დაფარულ (თვალთმაქცურ) გარიგებას, იგი სამართლებრივი ძალის მქონეა, როდესაც სახეზეა მისი ნამდვილობის წინაპირობები.

ერთ-ერთ საქმეზე⁸⁸ უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, უძრავი ნივთის მართვა/განკარგვა განხორციელდა თუ არა მოტყუების გზით გაცემული მინდობილობის საფუძველზე, აღნიშნული არ იწვევს გარიგების გაუქმების საფუძველს, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში იპოთეკის ხელშეკრულება დადებული იყო მინდობილობის საფუძველზე, რომელიც ბათილად არ იყო ცნობილი სასამართლოს მიერ. იგი იყო გაუქმებული, რაც სამართლებრივი შედეგით განსხვავდება ბათილობისგან. თუ ბათილობის შემთხვევაში არსებობს შესაძლებლობა, გაბათილდეს, მის საფუძველზე დადებული გარიგება, ასეთი შედეგი არ დგება გარიგების დადების შემდგომ მინდობილობის გაუქმების შემთხვევაში. შეუძლებელია მინდობილობის საფუძველზე დადებული გარიგების გაბათილება იმ მოტივით, რომ მინდობილობის დადებისას მხარე მოატყუეს, ან მისი ნდობა ბოროტად გამოიყენეს და იგი მიჩნეული არ არის არაა გარიგებად. ხოლო მხარეთა შორის არსებული მინდობილობით მხარე აღჭურვილია უფლებით, დატვირთოს ნივთი იპოთეკით.

საგულისხმოა, ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება,⁸⁹ სადაც სასამართლომ სსკ-ის 104-ე მუხლის II ნაწილი სსკ-ის 111-ე მუხლთან ურთიერთკავშირში განიხილა. სასამართლომ მიუთითა, რომ უძრავ ქონებაზე დადებული ხელშეკრულების ბათილობას არ უშვებს ერთი მხარის სასარგებლოდ და საკითხის გადაწყვეტას ისეთი გარემოებების დადგენას უკავშირებს, როგორცაა წარმოდგენილი პირის ქცევა, ასევე, შემძენის (მესამე პირის) კეთილსინდისიერი დამოკიდებულება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტისა და წარმოდგენილი პირის მიერ შექმნილი გარემოებების მიმართ. სასამართლომ მიუთითა წარმომადგენლის დამოკიდებულების დადგენაზე მის მიერ განხორციელებული ქმედების მიმართ. კერძოდ, მას თავისი ბრალეული თუ არაბრალეული მოქმედებით ან უმოქმედობით ისეთი გარემოებები ხომ არ

⁸⁷ კროპკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თბ., 2014, 39

⁸⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 19 ივლისის №ას-114-110-2012 განჩინება

⁸⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 24 იანვრის №ას-203-622-06 განჩინება

ჰქონდა მესამე პირისათვის შექმნილი, რაც ამ უკანასკნელს აფიქრებინებდა, რომ მას რწმუნებულებითი უფლებამოსილება ჰქონდა.

4.3 საკუთარ თავთან გარიგების დადების დაუშვებლობა

მესამე პირის სახით წარმომადგენლობაში, რომელთანაც წარმომადგენელი დებს გარიგებას წარმოდგენილის სახელით, შეიძლება გამოდიოდეს სამოქალაქო სამართლის ნებისმიერი სუბიექტი. ერთადერთი გამონაკლისია დაშვებული კანონით, როცა წარმომადგენელს არ შეუძლია დადოს გარიგება საკუთარ თავთან. (სსკ-ის 114-ე მუხლი).

ქართული სამოქალაქო სამართალი საკუთარ თავთან გარიგების დადების დაუშვებლობის ორ შემთხვევას ითვალისწინებს. პირველ შემთხვევაში, ერთი და იგივე პირის ერთ გარიგებაში წარმოდგენილ პირსაც წარმოადგენს და - საკუთარ თავსაც.⁹⁰ ამ შემთხვევას, იურიდიულ ლიტერატურაში „თვითკონტრაქტებას“ უწოდებენ. მეორე შემთხვევა სახეზეა, როდესაც ერთი და იგივე პირი ერთ გარიგებაში ორ სხვადასხვა პირს წარმოადგენს, ანუ იმავდროულად ამ ორივე პირის წარმომადგენლად გვევლინება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ადგილი აქვს „წარმომადგენლობათა სიმრავლეს“⁹¹

მიუხედავად მინდობილობით შეუზღუდავი მართვა/განკარგვის უფლებამოსილებისა, რწმუნებული ვერ დადებს გარიგებას საკუთარ თავთან, როგორც გარიგების მხარესთან ან როგორც მესამე პირის წარმომადგენელი, თუ ამის შესახებ მინდობილობაში არ არის სპეციალური დათქმა (თანხმობა) ან არ არსებობს სსკ-ის 114-ე მუხლით განსაზღვრული სხვა გამონაკლისი.

წარმომადგენელი, როგორც წარმოდგენილი პირის ინტერესების გამომხატველი და დამცველი, ვალდებულია, თავიდან აიცილოს ინტერესთა ის კონფლიქტები, რომლებიც გარიგების დადებისას შეიძლება წარმოიშვას.⁹² აღნიშნული ინტერესთა კონფლიქტი შეიძლება მაშინ წარმოიშვას, როცა წარმომადგენელი თვითონ არის დაინტერესებული, წარმოდგენილი პირისგან მიიღოს ის სარგებელი, რომელიც მესამე პირს უნდა მიეღო.⁹³ ასეთმა ვითარებამ კი შეიძლება საფრთხე შექმნას, რომ წარმომადგენელმა უპირატესობა საკუთარ ინტერესებს მიანიჭოს. სსკ-ის 114-ე მუხლი ითვალისწინებს გსკ-ის 181-ე პარაგრაფის მსგავს რეგულირებას საკუთარ თავთან გარიგების დადების დაუშვებლობის თვალსაზრისით. ეს პარაგრაფი

⁹⁰ მიგრიაული დრ., რ., ბეარი ა., „საკუთარ თავთან გარიგების დადება ერთკაცა შპს-ში“, 1

⁹¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გვ. 298, მითითებულია მიგრიაული დრ., რ., ბეარი ა., „საკუთარ თავთან გარიგების დადება ერთკაცა შპს-ში“, 1

⁹² ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 435

⁹³ იხ. იქვე

არეგულირებს ერთი და იმავე პიროვნების ხელშეკრულების ორივე მხარედ ფორმალური მონაწილეობის დაუშვებლობას და ემსახურება ინტერსთა კოლიზიის თავიდან არიდებისა და ინტერეთა შორის სამართლიანი თანაფარდობის უზრუნველყოფას. კერძოდ, „წარმომადგენლეს არ შეუძლია - გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას პირდაპირ ეძლევა ნებართვა - დადოს გარიგება მარწმუნებლის სახელით თავის თავთან არც საკუთარი სახელითან არც როგორც მესამე პირის წარმომადგენელმა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გარიგება მდგომარეობს მხოლოდ ვალდებულების შესრულებაში.“ საკუთარ თავთან დადებული გარიგებისას განასხვავებენ თვითკონტრაქტირებასა და ორმხრივ წარმომადგენლობას. პირველ შემთხვევაში წარმომადგენელი წარმოდგენილი პირის სახელით თავის თავთან დებს გარიგებას, ხოლო ორმხრივი წარმომადგენლობისას, იგი წარმოდგენილი პირისა და მესამე პირის სახელით ერთდროულად გამოდის ერთსა და იმავე ურთიერთობაში.⁹⁴

გსკ-ის §181-ე პარაგრაფის მიხედვით, სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის მიუხედავად („არ შეუძლია“) დგება არა ბათილობა, არამედ მერყევად ბათილობა (როგორც სხვ წარმომადგებლობითი უფლებამოსილების გარეშე მოქმედების შემთხვევებში).⁹⁵

მიუხედავად სამოქალაქო კოდექსის 114-ე მუხლისა და გერმანული სამოქალაქო კოდექსის 181-ე მუხლის სისიტყვათა თანმხვედრი წყობისა, წარმომადგენლის გარიგება საკუთარ თავთან არ არის ბათილი, არამედ აღნიშნული გარიგება მხოლოდ „მოლივილევდ ბათილია“ (**schwebend unwirksam**),⁹⁶ რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია წარმოდგენილი პირის მოწონებაზე ან/და თანხმობაზე.

ერთ-ერთ საქმეზე⁹⁷ უზენაესი სასამართლოს განმარტების მიხედვით, სსკ-ის 1158-ე მუხლი პირველი ნაწილის თანახმად, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო საკუთრებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. წარმომადგენელმა სადავო ქონება მიჰყიდა თავის მეუღლეს და თვითონაც ამ ბინის თანამესაკუთრე გახდა. ე.ი გარიგების დადებით მას წარმოეშვა წარმოდგენილი პირის ქონებაზე თანასაკუთრების

⁹⁴ ერეკვანია თ., მესამე პირთა ინტერესების დაცვა წარმომადგენლობაში - მართლმსაჯულება და კანონი №3(34)'12, 30-31

⁹⁵ კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თბ., 2014, 91

⁹⁶ მიგრიაული დრ., რ., ბეარი ა., „საკუთარ თავთან გარიგების დადება ერთკაცა შპს-ში“, 4

⁹⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 16 ივლისის № ას-325-619-04 გადაწყვეტილება

უფლება, ამიტომ ამ შემთხვევაში წარმომადგენლის მიერ ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება მის მეუღლესთან გაიგივებულ უნდა იქნეს საკუთარ თავთან საკუთარი სახელით დადებულ გარიგებასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება ეწინააღმდეგება სსკ-ის 114-ე მუხლის მოთხოვნებს, არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს და ამიტომ, სსკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

საყურადღებოა, ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება, სადაც მითითებულია, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება მიიჩნევა მერყევად ბათილად, თუ მხარეს წინასწარ არ აქვს მარწმუნებლის თანხმობა ქონების საკუთარ სახელზე აღრიცხვის თაობაზე. ხელშეკრულება იურიდიულ ძალას იძენს მარწმუნებლის მიერ მისი მოწონების შემთხვევაშიც.⁹⁸

4.4 გარიგების დადება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე

წარმომადგენლობის ერთ-ერთი ცენტრალური პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ წარმოდგენილ პირს უფლებები და მოვალეობები მხოლოდ მაშინ წარმოეშობა, თუკი წარმომადგენელი მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წარმომადგენელი, რომელიც ვერ დაადასტურებს თავისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არსებობას (ამაში იგულისხმება საკუთარ თავთან გარიგების დადების თანხმობა), ვალდებულია შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება ან აანაზღაუროს ზიანი.⁹⁹

წარმომადგენლობით უფლებაში ცვლილებები და მისი გაუქმება უნდა ეცნობოს მესამე პირებს. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობისას, ეს ცვლილებები და უფლებამოსილების გაუქმება არ შეიძლება გამოყენებულ იქნას მესამე პირების მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეებმა ხელშეკრულების დადებისას, ამის შესახებ იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ.

ერთ-ერთ საქმეზე¹⁰⁰ სადაც გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე სადავო ქონების მიყიდვის თაობაზე სანოტარო აქტის გაფორმების მომენტისთვის სასამართლოს ბრძანებით გადაყენებული იყო დაკავებული თანამდებობიდან და იგი უფლებამოსილ პირს არ წარმოადგენდა. უზენაესი სასამართლოს განმარტების მიხედვით, ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს უნდა

⁹⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 8 ნოემბრის №ას-1655-1552-2012

⁹⁹ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 437

¹⁰⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 19 მარტის №ას-452-843-06 განჩინება

გამოეწინა სსკ-ის 108-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს იმას, რომ უფლებამოსილებაში ცვლილებები და მისი გაუქმება უნდა ეცნობოს მესამე პირებს, ხოლო ამ მოთხოვნის შეუსრულებლობისას, ეს ცვლილებები და უფლებამოსილების გაუქმება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მესამე პირთა მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მხარეებმა ხელშეკრულების დადებისას ამის შესახებ იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ. ამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლომ არ გამოარკვია, მყიდველმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა თუ არა, რომ სადავო ხელშეკრულების დადების მომენტისთვის კონტრაქტს საერთოდ არ გააჩნდა გარიგების დადების უფლებამოსილება.

“რაც შეეხება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არარსებობის მიზეზებს, შესაძლებელია იყოს: ვადის გასვლა, უფლებამოსილების გაუქმება და სხვ. თუკი წარმომადგენელმა არ იცოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლი (მაგალითად, მარწმუნებელმა ისე გააუქმა მინდობილობა, რომ არ შეატყობინა წარმომადგენელს), მაშინ მას არ დაეკისება პასუხისმგებლობა”.¹⁰¹

როგორც წესი, უფლებამოსილების გარეშე დადებული გარიგება, ან სხვა იურიდიული მოქმედება სხვა პირის სახელით და ინტერესის შესაბამისად, არ წარმოქმნის რაიმე იურიდიულ შედეგებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულია, რომ ასეთი ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია წარმოდგენილი პირის თანხმობაზე. ხელშეკრულება, რომელსაც პირი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე დებს, ბათილია, თუმცა მოწონებაუნარიანი.¹⁰²

წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არმქონე წარმომადგენლის პასუხისმგებლობას განსაზღვრავს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §179-ე პარაგრაფი. ლიტერატურაში გამოთქმული ძირითადი მოსაზრებაა, *“falsus procurator”*-ის კანონისმიერი პასუხისმგებლობა სტიმულირებული და იმედგაცრულებული ნდობისთვის.¹⁰³

„ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების“ - (*Principles of European Contract law*) თანახმად, როდესაც პირი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე ან უფლებამოსილების გადამეტებით მოქმედებს, მის მიერ შესრულებული მოქმედებები წარმოდგენილსა და მესამე პირს

¹⁰¹ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 437

¹⁰² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, წიგნი I, თბ., 2002, 292

¹⁰³ კროპკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თბ., 2014, 89

შორის სამართლებრივ ბოჭვას არ წარმოშობს.¹⁰⁴ წარმოდგენილის შემდგომი თანხმობის არარსებობისას, წარმომადგენელი ვალდებულია მესამე პირებს აუნაზღაუროს ზიანის ისეთივე ოდენობა, როგორსაც აუნაზღაურებდა უფლებამოსილების ფარგლებში რომ ემოქმედა. ეს წესი არ გამოიყენება, თუ მესამე პირმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა წარმომადგენლის უფლებამოსილების ხარვეზის შესახებ.¹⁰⁵

4.5 კეთილსინდისიერების პრინციპის მნიშვნელობა

ზოგადად, კეთილსინდისიერების პრინციპი რომის სამართლიდან იღებს სათავეს. პრინციპი *bona fides* (კეთილსინდისიერება) მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა *ius civile*-სა და რომაულ სამართლებრივ აზროვნებაში.¹⁰⁶ ერთ-ერთ საქმეზე, დადგინდა, რომ ხელშეკრულების გაფორმებისას, მესაკუთრის წარმომადგენელი მოქმედებდა გაყალბებული მინდობილობის საფუძველზე, უზენაესი სასამართლოს განმარტების მიხედვით, ვინაიდან ამ შემთხვევაში, მესაკუთრეს ნამდვილი ნება უძრავი ქონების გასხვისებაზე არ გამოუვლენია, ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნასთან მიმართებით შემძენ(ებ)ის კეთილსინდისიერებას მნიშვნელობა არ აქვს და ამის შემოწმების საკითხი მოცემულ შემთხვევაში არ დგება. ხელშეკრულება ბათილია სსკ-ის 54-ე და 61-ე მუხლების საფუძველზე. სსკ-ის 183-ე და 185-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემძენის კეთილსინდისიერებას მნიშვნელობა ექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ნივთის გასხვისების ნებას გამოხატავდა საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მესაკუთრე.¹⁰⁷ უნდა აღინიშნოს, რომ კეთილსინდისიერების პრინციპი განსხვავებული ვერბალური და შინაარსობრივი კონიუნქტურით ჩადებულია ასევე ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოს სამოქალაქო თუ სავაჭრო კოდექსებში.¹⁰⁸

ამასთანავე, მნიშვნელოვანია კიდევ ერთი გადაწყვეტილება¹⁰⁹, სადაც დადგინდა, რომ სადავო ქონება გასხვისდა არა საჯარო რეესტრში ნივთის

¹⁰⁴ ევროპული სახელმწიფოებო სამართლის პრინციპები, ე. ბუკალავას, თ. ჭალიძის, ა. ცერცვაძისა და დ. გეგენავას თარგმანი, საერთო რედაქტორობით, თბ., 2014, 33

¹⁰⁵ ევროპული სახელმწიფოებო სამართლის პრინციპები, ე. ბუკალავას, თ. ჭალიძის, ა. ცერცვაძისა და დ. გეგენავას თარგმანი, საერთო რედაქტორობით, თბ., 2014, 33

¹⁰⁶ ვაშაკიძე გ., კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით - აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2007, 16

¹⁰⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 4 ოქტომბრის №ას-464-434-2010 განჩინება

¹⁰⁸ ვაშაკიძე გ., კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით - აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2007, 28

¹⁰⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 28 ოქტომბრის №ას-813-764-2015 განჩინება

მესაკუთრედ რეგისტრირებული პირის მიერ, არამედ მისი მინდობილი წარმომადგენლის მიერ. შესაბამისად, შემძენი ენდობოდა არა საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების უტყუარობისა და სისწორეს, არამედ ისინი ენდობოდნენ მინდობილობას, რომლის სიყალბეც დადგინდა საქმის მასალებით, ხოლო მინდობილობის სისწორისა და უტყუარობის პრეზუმციას კი, კანონდებლობა არ ითვალისწინებს. ამასთან დაკავშირებით, არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2002 წლის 09 სექტემბრის გადაწყვეტილება (საქმეზე N3კ/624-02), რომელშიც დიდმა პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის სისწორისა და უტყუარობის პრეზუმციას: სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა თავისთავად არ ნიშნავს მარწმუნებლის მიერ წარმომადგენლისათვის უფლებამოსილების მინიჭების ფაქტის არსებობას. უფლებამოსილება უნდა იყოს ნამდვილი. *(აგრეთვე იხ., სუსგ საქმეზე Nას-706-669-2013, 22 ოქტომბერი, 2013წელი).*

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ ხელშეკრულებების გაფორმებისას უძრავი ნივთის ნამდვილ მესაკუთრეს, მოსარჩელეს არ გამოუვლენია მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისების ნება. საკასაციო პალატის განმარტებით, ბრუნვის კეთილსინდისიერება ამ ბრუნვის მონაწილეთა კეთილსინდისიერებაა, ეს კი გულისხმობს ბრუნვის მონაწილეებისადმი სანდოობას. ასეთი ურთიერთდამოკიდებულება გამარტივებული და ცოცხალი სამოქალაქო ბრუნვის აუცილებელი წინაპირობაა. ეს სრულიადაც არ ნიშნავს ურთიერთობის მონაწილეთა მხრიდან ერთმანეთის მიმართ თვალდახუჭულ ნდობას. იგი აუცილებლად გულისხმობს წინდახედულობის გონივრულ მასშტაბს, რომლის იგნორირებამაც შეიძლება ბრუნვის მონაწილე არაკეთილსინდისიერ მონაწილედ აქციოს და დაცვის მიღმა დატოვოს. მოცემულ შემთხვევაში, სადავო გარიგების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, რომელმაც სადავო გარიგებით შეიძინა უძრავი ქონება ეკონომიკური ინტერესებისათვის. აღნიშნული კი, წარმოშობს ლოგიკური, თანმიმდევრული და დასაბუთებული მსჯელობის საფუძველს მასზე, რომ ადმინისტრაციული ორგანოსათვის სასყიდლიანი გარიგებების გაფორმება და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვების აუცილებლობა, მათ შორის, უფლებრივი ნაკლის გამორიცხვა უცხო არ უნდა ყოფილიყო. სამინისტროს, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოს წინდახედულების უფრო მაღალი სტანდარტი მოეთხოვება გარიგებების დადებისას (მიუხედავად რეესტრის ჩანაწერის სისწორისა), რაც მას არ გამოუყენებია. შესაბამისად, მისთვის უძრავი ქონება წარმომადგენლობითი

უფლებამოსილების დამადასტურებელი სანოტარო აქტის ნაკლის მიმართ უფრო მეტი წინდახედულება უნდა გამოეჩინა.

V. დირექტორის, როგორც იურიდიული პირის წარმომადგენლის უფლებამოსილება

იურიდიული პირები, როგორც ადამიანების ან ქონების გაერთიანების შედეგად შექმნილი ორგანიზაციული წარმონაქმნები, სამართლებრივ ურთიერთობებში, მართალია, საკუთარი სახელით მონაწილეობენ, მაგრამ ეს მათ შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანების მეშვეობით, რომელთაც იურიდიული პირების წარმოდგენის უფლებამოსილება აქვთ მინიჭებული. ამ ადამიანებს იურიდიული პირის ორგანოები ეწოდებათ და კანონით აქვთ მინიჭებული იურიდიული პირის წარმომადგენლობის უფლებამოსილება.¹¹⁰ აღნიშნული პირები საზოგადოების მართვას უნდა შეუდგნენ კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით. კეთილსინდისიერების პრინციპი, სსკ-ის მე-8 და 361-ე მუხლების მიხედვით, მოითხოვს მხარეთა შორის ურთიერთნდობის (ლათ. *fiducia*) არსებობას და სამოქალაქო ბრუნვის წესების უპირობოდ დაცვას, შესაბამისად, მათ ურთიერთობაში მოქმედებს კეთილსინდისიერების პრეზუმფცია, ე.ი ყოველი ურთიერთობა ემყარება ვარაუდს, რომ პარტნიორები კეთილსინდისიერად მოქმედებენ და იმოქმედებენ, სანამ დაინტერესებული მხარე საპირისპიროს არ დაამტკიცებს.¹¹¹ საკორპორაციო სამართლის თეორია საზოგადოებებს ორ ძირითად კატეგორიად ყოფს: ამხანაგური (პერსონალური) საზოგადოებები და კაპიტალური საზოგადოებები. „იურიდიული პირის ორგანო წარმომადგენლობის ნაირსახეობაა, მაგრამ გარიგებით წარმომადგენლობისგან ის განსხვავდება, კერძოდ, იურიდიულ პირს მის გარეშე არ შეუძლიათ არსებობა და საქმიანობა მაშინ, როცა წარმოდგენილი პირი ვალდებული არ არის ურთიერთობა წარმომადგენლის მეშვეობით დაამყაროს“.¹¹² აღნიშნული განაპირობებს განსხვავებულ რეგულაციებს. იურიდიული პირის წარმომადგენლობის საკითხს სპეციალურად აწესრიგებს საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ და სამოქალაქო კოდექსში იურიდიულ პირებთან დაკავშირებული ნორმები. იურიდიული პირის უფლებაუნარიანობის საკითხში ქართულმა სამოქალაქო კოდექსმა

¹¹⁰ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 423

¹¹¹ ვაშაკიძე გ., კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით - აბსტრაქტული თუ მოქმედი სამართალი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2007, 48

¹¹² ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 423

ევროპული სამართლის გზა აირჩია. იგი განამტკიცებს მათ ზოგად უფლებათა უნარიანობას.¹¹³

კანონის თანახმად, ხელმძღვანელობის უფლება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში საწარმოს სახელით გადაწყვეტილებების მიღების უფლებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გულისხმობს საწარმოს სახელით მესამე პირებთან ურთიერთობაში გამოსვლის უფლებას. პირველი მოიცავს მეორეს, თუ პარტნიორთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას ახორციელებს სპეციალურად შექმნილი ორგანო – დირექტორი/დირექტორატი, რომელიც შეიძლება იყოს, როგორც საწარმოს პარტნიორი, ისე არაპარტნიორი, რომელთა უფლებამოსილების ფარგლები და პასუხისმგებლობის მოცულობა განისაზღვრება კანონით „მეწარმეთა შესახებ“, საზოგადოების წესდებით და მასთან დადებული ხელშეკრულებით (მისი არსებობის შემთხვევაში).

როგორც იურისტი თეორეტიკოსები განმარტავენ, მინდობილობის ინსტიტუტი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება, რომელმაც ხელი შეუწყო კაპიტალიზმის განვითარებას, მსხვილი საწარმოების ჩამოყალიბებას და თავისუფალი სამეწარმეო ურთიერთობის განვითარებას, რამდენადაც, მინდობილობის გაცემით მეწარმეს საშუალება ეძლევა ერთდროულად სხვადასხვა ტერიტორიებზე მოახდინოს თავისი სამეწარმეო მიზნების განხორციელება.¹¹⁴

5.1 ისტორიული ექსკურსი

ქონებისა თუ რაიმე უფლების მინდობის ინსტიტუტს ჯერ კიდევ რომის კერძო სამართალში იცნობდნენ *procurators* (ლათ. ხელმძღვანელი, მმართველი) – პირები, რომლებიც ცალმხრივი უფლებამოსილების მინიჭების საფუძველზე, უძღვებოდნენ მიმდინარე სამეურნეო საქმეებს, შესაბამისად, ფრანგული სამართალი იცნობს *procuration* (ფრანგ.), როგორც მინდობილობის ინსტიტუტს, ასე რომ, მინდობილობით ურთიერთობებს კერძო სამართალში ისტორიული საფუძვლები გააჩნია.¹¹⁵

ამერიკის შეერთებული შტატების „*Black Law Dictionary*” მინდობილ საკუთრებას - *Trust* - ასე განმარტავს: „*legal entity created by a grantor for the*

¹¹³ ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., 2005, 215

¹¹⁴ ჩარგეიშვილი ა., ჟურნალი „ცხოვრება და სამართალი“ №1, 1998, პროკურა და სხვა მინდობილობითი უფლებამოსილებანი, 91

¹¹⁵ ჩარგეიშვილი ა., ჟურნალი „ცხოვრება და სამართალი“ №1, 1998, პროკურა და სხვა მინდობილობითი უფლებამოსილებანი, 90

benefit of designated beneficiaries...” ამერიკის სამართალში „Legal entity” იურიდიული პირის მსგავს ორგანიზაციულ ფორმას წარმოადგენს. ტერმინ “Entity”-ში ზემოთ აღნიშნული ლექსიკონი გულისხმობს: კორპორაციას, პარტნიორობას და ა.შ.¹¹⁶ არსებობს სხვადასხვა ტიპის ე.წ. „ტრასტი“, ის შეიძლება იყოს ზეპირი, არაპირდაპირი, პრეზუმირებული და შემაჯამებელი.¹¹⁷

5.2 მინდობილი საკუთრების ინსტიტუტი სამოქალაქო სამართალში

მინდობილი საკუთრება (*ინგ. Trust*) საერთო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მეტად საინტერესო ინსტიტუტია, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული საერთო სამართლის ქვეყნებში, კერძოდ ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში და ა.შ.¹¹⁸ მინდობილ მესაკუთრეს შეუძლია თავისი სახელით მართოს ქონება და თუ ხელშეკრულებით ან კანონით აქვს მიცემული უფლება, შეუძლია გაასხვისოს, განკარგოს ქონება - გასცეს იჯარით, გააქირავოს, გაყიდოს და ა.შ.¹¹⁹ „პარტნიორი არ არის მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მესაკუთრე“¹²⁰, ამდენად, დირექტორი მოქმედებს არა პარტნიორის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე, არამედ წესდების შესაბამისად.

მინდობილი მესაკუთრის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოვალეობებს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) მართოს ქონება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნისთვის; ბ) მართოს მინდობილი საკუთრება კეთილსინდისიერებითა და გულისხმიერებით; გ) ქონების მართვის შედეგად მიღებული მთელი სარგებელი გადასცეს ბენეფიციანტს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.¹²¹

სსკ-ის 724-ე მუხლი განმარტავს საკუთრების მინდობას, საიდანაც აშკარად იკვეთება ქართული სამართლის ნორმების მსგავსება საერთო სამართლის ნორმებთან. მინდობილ მესაკუთრეს, უფლება-მოვალეობებიდან

¹¹⁶ ლილუაშვილი გ., ჟურნალი „ცხოვრება და სამართალი“ №1, 1998, იურიდიული პირი, როგორც მინდობილი მესაკუთრე, 43

¹¹⁷ Towards a European Civil Code, Kluwer Law International, 2004, 787

¹¹⁸ ლილუაშვილი გ., ჟურნალი „ცხოვრება და სამართალი“ №1, 1998, იურიდიული პირი, როგორც მინდობილი მესაკუთრე, 40

¹¹⁹ ლილუაშვილი გ., ჟურნალი „ცხოვრება და სამართალი“ №1, 1998, იურიდიული პირი, როგორც მინდობილი მესაკუთრე, 40

¹²⁰ ლილუაშვილი გ., ჟურნალი „ცხოვრება და სამართალი“ №1, 1998, იურიდიული პირი, როგორც მინდობილი მესაკუთრე, 46

¹²¹ ლილუაშვილი გ., ჟურნალი „ცხოვრება და სამართალი“ №1, 1998, იურიდიული პირი, როგორც მინდობილი მესაკუთრე, 40

გამომდინარე, ქონებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება, თუ იგი საკუთრების მიმდობის მიმართ არ გამოიჩენს გულისხმიერებას, საკუთრების მიმდობს ან მესამე პირს მიაყენებს ზიანს.¹²² მინდობილი საკუთრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან თვისებას წარმოადგენს ის, რომ ქონების ნაყოფი რჩება საკუთრების მიმდობს, სსკ-ის 726-ე მუხლის III ნაწილის საფუძველზე.

5.3 გენერალური სავაჭრო მინდობილობა - პროკურა

საქართველოს სამეწარმეო კანონმდებლობა იცნობს, ასევე გენერალური სავაჭრო მინდობილობის ინსტიტუტს და შესაბამისად განსაზღვრავს მისი გაცემის წესებს, მოქმედების ფარგლებსა და საზღვრებს, შეზღუდვებს და სახესხვაობებს. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მიხედვით, პროკურა, ეს არის სპეციალური სავაჭრო მინდობილობა, რომელიც რეგისტრირებული უნდა იყოს სამეწარმეო რეესტრში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას არ გააჩნია იურიდიული მოქმედების ძალა.¹²³ საქართველოს კანონმდებლობით განმარტებულია - სპეციალური პროკურა, საერთო პროკურა და საკუთრივ პროკურა, მაგრამ, აქვე აღსანიშნავია, რომ, კონტინენტური ევროპის სამართალი იცნობს, აგრეთვე, პროკურის კიდევ რამდენიმე სახეს: *ქვეპროკურა, შერეული პროკურა, ცალკეული პროკურა, შემწყნარებლობის პროკურა*. რაც დამოკიდებულია სავაჭრო ურთიერთობების მრავალფეროვნებაზე.¹²⁴ პროკურისგან განსხვავებით, საბჭოთა საქართველოს სამოქალაქო სამართალი იცნობდა მინდობილობის სახეს - იურიდიული მოქმედების განხორციელების უფლებამოსილებას (სავაჭრო მინდობილობას).¹²⁵ პროკურისტი ახორციელებს რა სამართლიან გარიგებებს, იგი სრულუფლებიანად წარმოადგენს საწარმოს ინტერესებს და მესამე პირები დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ მათ ურთიერთობა აქვთ საწარმოს შეუზღუდავ წარმომადგენელთან. ასეთ შემთხვევაში მოქმედებს შეუზღუდაობის პრინციპი და ეს პრინციპი არის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი პროკურის სხვა სავაჭრო მინდობილობებისაგან. ¹²⁶ თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თავისი შინაარსითა და გაცემის წესის სიმარტივით სავაჭრო

¹²² ლილუაშვილი გ., ჟურნალი „ცხოვრება და სამართალი“ №1, 1998, იურიდიული პირი, როგორც მინდობილი მესაკუთრე, 41

¹²³ ჩარგეიშვილი ა., ჟურნალი „ცხოვრება და სამართალი“ №1, 1998, პროკურა და სხვა მინდობილობითი უფლებამოსილებანი, 91

¹²⁴ ჩარგეიშვილი ა., ჟურნალი „ცხოვრება და სამართალი“ №1, 1998, პროკურა და სხვა მინდობილობითი უფლებამოსილებანი, 93

¹²⁵ ჩარგეიშვილი ა., ჟურნალი „ცხოვრება და სამართალი“ №1, 1998, პროკურა და სხვა მინდობილობითი უფლებამოსილებანი, 94

¹²⁶ ჩარგეიშვილი ა., ჟურნალი „ცხოვრება და სამართალი“ №1, 1998, პროკურა და სხვა მინდობილობითი უფლებამოსილებანი, 94

მინდობილობა პროკურისგან განსხვავებით უფრო მეტად გამოიყენება ყოველდღიურ სავაჭრო ურთიერთობებში.

5.4 დირექტორის უფლებამოსილების ფარგლები

ორგანული წარმომადგენლობის პარალელურად, საწარმოში აღსანიშნავია, ასევე გარიგებით-სამართლებრივი წარმომადგენლობა გენერალური სავაჭრო მინდობილობის (შემდგომში „პროკურა“) სახით. პროკურა განიმარტება, როგორც მინდობილობა, წარმომადგენლობის განსაკუთრებული სახე, რომლის მოცულობა განისაზღვრება კანონით. პროკურა კანონით ზუსტად განსაზღვრული შინაარსიდან გამომდინარე, მჭიდროდ დაკავშირებულია საწარმოს წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ გამოვლენილ ნებაზე.¹²⁷

ერთ-ერთ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ რადგან წერილი, რომლითაც მოპასუხემ დავალიანების გადახდა ივალდებულა, ხელმოწერილია არაუფლებამოსილი პირის მიერ (წერილი ხელმოწერილი იყო პირის მიერ, ვინც საჯარო რეესტრში არ იყო რეგისტრირებული, როგორც დირექტორი) იგი ვერ გახდება სსკ-ის 137-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძველი. უზენაესი სასამართლოს განმარტების თანახმად, ამ შემთხვევაში სახეზე იყო სსკ-ის 104-ე მუხლის მე-2 ნაწილის წინაპირობები, რომლის თანახმადაც, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არარსებობა არ შეიძლება გამოიყენოს გრიგების მეორე მხარემ, თუკი წარმომადგენელმა ისეთი გარემოებები შექმნა, რომ გარიგება მეორე მხარეს კეთილსინდისიერად ეგონა ასეთი უფლებამოსილების არსებობა. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილი იყო, რომ არაუფლებამოსილი პირის მიერ მოსარჩელეს არაერთხელ გაეგზავნა წერილი ვალის დაფარვის დაპირებით, აღნიშნული წერილები დაბეჭდილი იყო სააქციო საზოგადოების ბლანკზე, დასმული ჰქონდა ბეჭედი, გატარებული იყო კანცელარიაში და მინიჭებული ჰქონდა შესაბამისი ნომერი. გარდა ამისა, არაუფლებამოსილი პირი იყო სააქციო საზოგადოების თანამშრომელი რომლის კაბინეტის კარზეც იყო წარწერა „დირექტორი“. აღნიშნულიდან გამომდინარე, პატალამ ჩათვალა, რომ მოსარჩელეს კეთილსინდისიერად ეგონა, რომ იგი იყო სააქციო საზოგადოების დირექტორი და უფლებამოსილება ჰქონდა საზოგადოების სახელით გამოსულიყო ურთიერთობებში.¹²⁸

¹²⁷ ჟურნალი „ადვოკატი“ №1, 2011, ირაკლი ყანდაშვილი: „სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ორგანული წარმომადგენლობა: მსგავსება და განსხვავება გენერალური სავაჭრო მინდობილობის ინსტიტუტისგან“ 86

¹²⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 22 ივლისის №ას-263-559-04 განჩინება

ერთ-ერთ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ასევე, განმარტა, რომ შპს-ს დირექტორის მიერ საკუთარ თავთან დადებული გარიგება ნამდვილი იქნებოდა, თუ დირექტორი დაამტკიცებდა, რომ მან გარიგება დადო პარტნიორთა ნებართვით (თანხმობით ან მოწონებით) და ეს გარიგება ყველაზე ხელსაყრელი და სასარგებლო იყო საწარმოსათვის. დირექტორი ყოველთვის არის ვალდებული დაიცვას, უპირატესად, საწარმოს ინტერესები. ცხადია, ეს ვალდებულება ეკისრება მას საკუთარ თავთან გარიგების დადების დროსაც. აქედან გამომდინარე, დირექტორმა გარიგების, განსაკუთრებით, საკუთარ თავთან გარიგების დადების დროს უნდა გაითვალისწინოს ყველა შესაძლო შედეგი და მისი მოქმედება ყველაზე ხელსაყრელი უნდა იყო საწარმოსათვის. დირექტორის პასუხისმგებლობა არ მცირდება მაშინაც კი, როცა იგი, ამავდროულად, არის საწარმოს პარტნიორი. პირიქით, ამ შემთხვევაში, დირექტორს შეიძლება ვალდებულება დაეკისროს, როგორც დომინანტ პარტნიორსაც, რომელიც თავის უფლებამოსილებებს იყენებს სხვა პარტნიორების საზიანოდ.¹²⁹

ერთ-ერთ საქმეზე¹³⁰ საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თანამედროვე საკორპორაციო სამართალში დიდი მნიშვნელობა ენიჭება „სამეწარმეო განსჯის წესს“ ანუ, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ გადაწყვეტილების მიღებისას საწარმოს დირექტორები მოქმედებდნენ კორპორაციის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერებისა და ინფორმირებულობის პრინციპის დაცვით, შესაბამისად, დირექტორების წინააღმდეგ სარჩელის შეტანის შემთხვევაში, მოსარჩელე მხარე ვალდებულია, გადალახოს აღნიშნული პრეზუმფცია. დერივაციული სარჩელი წარმოადგენს დირექტორთა კორპორაციული ანგარიშვალდებულების მექანიზმს. დერივაციული სარჩელი უზრუნველყოფს, რომ დირექტორის არამართლზომიერი ქმედებით გამოწვეული ზიანი ანაზღაურებული იქნება კომპანიისათვის კომპანიის სახელით მოქმედი აქციონერის (პარტნიორის) მიერ სასამართლოსათვის მიმართვის გზით.

შესაბამისად, დირექტორს უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა საზოგადოების ქონების მართვის ან განკარგვისთვის შესაბამისი უფლებამოსილების არარსებობის შემთხვევაში და კონკრეტული გარიგების დადების ეტაპზე პარტნიორთა თანხმობის მოთხოვნა არარელევანტურია.

¹²⁹ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 15 დეკემბრის №28/97-11 გადაწყვეტილება <<http://temida.mylaw.ge/fullcase/1249/---pbn>> [10.07.2019]

¹³⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 6 ნოემბრის №ას-687-658-2016 გადაწყვეტილება

5.5 დირექტორის უფლებამოსილების შეზღუდვა წესდებით ან სხვა სადამფუძნებლო დოკუმენტით

დირექტორის უფლებამოსილება შესაძლებელია შეიზღუდოს წესდებით ან/და სხვა სადამფუძნებლო დოკუმენტით საზოგადოების პარტნიორების მიერ.

„იურიდიული პირის წარმომადგენლობა გათვალისწინებულია შესაბამის კანონში, წესდებაში, დებულებაში და ა.შ. იურიდიული პირის წარმომადგენლობის შესაბამის კანონში გათვალისწინება არ გულისხმობს, რომ იგი კანონიერი წარმომადგენლობაა, რადგან მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი კანონიერ წარმომადგენლებად სულ სხვა პირებს მიიჩნევს“.¹³¹

იურიდიული პირის წარმომადგენლობასთან დაკავშირებით ორი სახის თეორია არსებობს: *წარმომადგენლის* და *ორგანული* თეორია. წარმომადგენლის თეორიის მიხედვით, იურიდიული პირი დებს ხელშეკრულებას კონკრეტულ ფიზიკურ პირთან, რომელმაც უნდა წარმოადგინოს ეს იურიდიული პირი სასამართლოში იმ ფარგლებში, რაც მათ შორის დადებული ხელშეკრულებით იქნება განსაზღვრული. რაც შეეხება ორგანულ თეორიას, იურიდიული პირის წარმომადგენლობითი ორგანოს უფლებამოსილება განისაზღვრება კანონით და კონკრეტულ იურიდიულ პირთან დაკავშირებით, მესამე პირთათვის ცნობილი ხდება რეგისტრაციისა და პრესაში გამოქვეყნების მეშვეობით.¹³² იურიდიული პირის უფლებამოსილება განისაზღვრება წესდებით, ამასთან წესდებით განსაზღვრული ფუნქციები კანონიდან უნდა გამომდინარეობდეს და მას არ ეწინააღმდეგებოდეს.¹³³

წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე დირექტორს შეუძლია საზოგადოების სახელით ნებისმიერ გარიგებაში მიიღოს მონაწილეობა, გარიგება დადოს ნებისმიერ კონტრაქტთან და არავის არ აქვს უფლება, იგი შეზღუდოს თავის უფლებამოსილებათა განხორციელების პროცესში. თუ ისეთმა დირექტორებმა დადო მესამე პირთან გარიგება, რომელსაც არ გააჩნია

¹³¹ ბასილაია ფ., ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №1(20), 2009, წარმომადგენლობა და დაუსწრებელი გადაწყვეტილება, 12

¹³² ბასილაია ფ., ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №1(20), 2009, წარმომადგენლობა და დაუსწრებელი გადაწყვეტილება, 12

¹³³ ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 1997, გვ. 239, მითითებულია ბასილაია ფ., ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №1(20), 2009, წარმომადგენლობა და დაუსწრებელი გადაწყვეტილება, 12

რეგისტრირებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, მაშინ გარიგება მართალია კანონიერად ჩაითვლება და საზოგადოებასა და მესამე პირს შორის ჩვეულებრივი სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა, მაგრამ შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობაში ასეთი გარიგება განიხილება არა როგორც საზოგადოების სახელით, არამედ თვით დირექტორის მიერ დადებული გარიგება და მასვე დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ ზიანისთვის, რაც ასეთმა გარიგებამ საზოგადოებას მიაყენა.¹³⁴ ზოგადად, დირექტორის პრიმატს აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები, თუმცა იმ შემთხვევაში, როცა საზოგადოებას ჰყავს დომინანტი პარტნიორი, მისი აპრიორი დადებითად აღიარება აზრს მოკლებულია.¹³⁵ ვინაიდან დირექტორს არ აქვს ვალდებულება გაატაროს პარტნიორების ინტერესები, არ ნიშნავს რომ მას არ აქვს აღნიშნულის უფლებამოსილება, ვინაიდან დირექტორი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მართავს საწარმოს.¹³⁶

წარმომადგენლის უფლებამოსილება უნდა ჩამოყალიბდეს კანონის შესაბამისად გაცემულ და გაფორმებულ მინდობილობაში. მოქალაქეთა მიერ გაცემული მინდობილობები უნდა დამოწმდეს სანოატრო წესით, ან იმ ორგანიზაციის მიერ, სადაც მუშაობს ან სწავლობს მარწმუნებელი, სტაციონარული სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ, სადაც მოქალაქე სამკურნალოდ იმყოფება, შესაბამისი სამხედრო ნაწილის მიერ, თუ მინდობილობას სამხედრო მოსამსახურე გასცემს. საპატიმროში მყოფი პირის მიერ გაცემულ მინდობილობას დაამოწმებს შესაბამისი საპატიმრო ადგილის ადმინისტრაცია. მინდობილობას ორგანიზაციის სახელით გასცემს შესაბამისი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან სხვა უფლებამოსილი პირი.¹³⁷

5.6 რამდენიმე უფლებამოსილი პირის არსებობა

თუ საზოგადოებას რამდენიმე დირექტორი ჰყავს, საზოგადოების წესდებით უნდა განისაზღვროს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები ერთპიროვნულად იმოქმედებენ თუ ერთობლივად. წესდებაში შეიძლება ასევე განისაზღვროს, წარმომადგენლობითი

¹³⁴ В. В. Лаптев, Акционерное право, М., 1999, с. 93, მითითებულია შენგელია ე., ჟურნალი „სამართალი“ №3, 2001, სააქციო საზოგადოების დირექტორთა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, 31-32

¹³⁵ Stephen M. Bainbridge, The New Corporate Governance in Theory and practice, Oxford University Press, 2008, 12

¹³⁶ Franklin A. Gevurtz, Corporation Law, Second Edition, 2000, 320

¹³⁷ ბასილაია ფ., ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №1(20), 2009, წარმომადგენლობა და დაუსწრებელი გადაწყვეტილება, 13

უფლებამოსილების მქონე პირები დამოუკიდებლად იმოქმედებენ თუ სხვა, სპეციალურ წარმომადგენლებთან ანუ პროკურისტებთან ერთად.¹³⁸ იმ შემთხვევაში, როცა სახეზეა რამდენიმე დირექტორი და ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, დირექტორები მხოლოდ ერთობლივად დებენ გარიგებებს და ასრულებენ ხელმოწერებს. ცალკეულ დირექტორებს შეიძლება მიენიჭოთ ზოგიერთი გარიგების დადების ან განსაზღვრული სახის საქმიანობის გაძღოლის უფლებამოსილება.¹³⁹

დირექტორების ფუნქციები არ შეიძლება გადაეცეს სამეთვალყურეო საბჭოს. ამ უკანასკნელის ფუნქციების გაფართოება ძირითადად შიდასაზოგადოებრივი ურთიერთობის სფეროს მოიცავს. მესამე პირებთან ურთიერთობა კი მის უშუალო ფუნქციებში არ შედის. ამიტომ მათ მიერ დადებული ნებისმიერი სამოქალაქო სამართლებრივი გარიგება ბათილად უნდა ჩაითვალოს.¹⁴⁰

VI. წარმომადგენლობის განსხვავება დავალების ხელშეკრულებისგან

ურთიერთობებში ხშირად მონაწილეობენ პირები, რომლებიც გარეგნულად წარმომადგენლის შთაბეჭდილებას ტოვებენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი არ განეკუთვნებიან წარმომადგენლებს სსკ-ის 103-114-ე მუხლების გაგებით. ამიტომ აუცილებელია ამ პირთა გამიჯვნა წარმომადგენლებისაგან. აღნიშნულის პრაქტიკული მნიშვნელობა განპირობებულია სამართლებრივი ნორმების სწორად გამოყენებაში. წარმომადგენლის სპეციფიკური მახასიათებლებია:

1. წარმომადგენელი გამოხატავს საკუთარ ნებას;
2. სხვისი (წარმოდგენილი პირის) სახელით;
3. უფლებები და მოვალეობები წარმოეშობა წარმოდგენილ პირს.

აღსანიშნავია, რომ გარიგების დადებისას წარმომადგენელი თავის ნებას გამოხატავს, მაგრამ სხვისი სახელით და ეს გარემოება გარიგების დადებისას ცხადი (უეჭველი) უნდა იყოს კონტრაქტისთვის.¹⁴¹

გერმანიაში დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების საგანს, დავალების ხელშეკრულების მსგავსად, სხვისთვის უსასყიდლო სამსახურის

¹³⁸ შენგელია ე., ჟურნალი „სამართალი“ №3, 2001, სააქციო საზოგადოების დირექტორთა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, 32

¹³⁹ იხ. იქვე

¹⁴⁰ შენგელია ე., ჟურნალი „სამართალი“ №3, 2001, სააქციო საზოგადოების დირექტორთა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, 33

¹⁴¹ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 431

გაწევა წარმოადგენს. დავალების გარეშე საქმეების შესრულებისასაც გამოიყენება დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელი მთელი რიგი მუხლები. სხვისი საქმეების შესრულება გერმანულ სამართალში იყოფა სხვისი საქმეების ნამდვილ და არანამდვილ შესრულებად.¹⁴²

6.1 საქართველოში არსებული სასამართლო პრაქტიკა

მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესი ერთ-ერთი გადაწყვეტილება¹⁴³, სადაც განმარტების საგანი იყო მარწმუნებლის გარდაცვალების განსხვავებული სამართლებრივი შედეგები რწმუნებულებისა და დავალების ხელშეკრულების არსებობის დროს. სასამართლომ განმარტა, რომ სკ-ის 107-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უფლებამოსილების (რწმუნებულების) მიცემა ხდება რწმუნებულის ან იმ მესამე პირის მიმართ ნების გამოვლენით, რომელთანაც უნდა შედგეს წარმომადგენლობა. უფლებამოსილებით გამოხატულია უფლებამოსილების მიმცემის ნება, რომ ერთ პირს მეორის წინაშე აძლევს წარმომადგენლობით ძალაუფლებას. უფლებამოსილებით მყარდება უფლებამოსილების ურთიერთობა, ეს არის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს წარმომადგენლის უფლებას, წარმოადგინოს მარწმუნებელი. დავალების ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, რომელიც არეგულირებს ურთიერთობას წარმომადგენელსა და წარმოდგენილს შორის, მინდობილობა მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის უზრუნველსაყოფად წარმოდგენილსა და მესამე პირს შორის, ანუ მინდობილობის ადრესატია მესამე პირი და ემსახურება მის წინაშე წარმომადგენლის უფლებამოსილების დადასტურებას. რაც შეეხება დავალების ხელშეკრულებას, იგი გათვალისწინებულია 709-ე მუხლით. დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია, შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე. დავალების ხელშეკრულება მიეკუთვნება იმ ხელშეკრულებათა ტიპს, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოს შესრულებასთან. დავალების ხელშეკრულება ორმხრივი, კონსენსუალური ხელშეკრულებაა. მისი მხარეებია, ერთი მხრივ, მარწმუნებელი, რომელიც დავალების მიმცემია და ამ სახის ურთიერთობებში კრედიტორის როლში გამოდის, ხოლო მეორე მხრივ, რწმუნებული, რომელიც კისრულობს დავალებული მოქმედების განხორციელებას და მონაწილეობს მოვალის მხარეზე. ამ ხელშეკრულების საგანია რწმუნებულის მიერ ერთი ან რამდენიმე მოქმედების შესრულება.

¹⁴² რუსიაშვილი გ., ეგნატაშვილი დ., კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბ., 2016, 17

¹⁴³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 8 სექტემბრის №ას-39-489-06 გადაწყვეტილება

მარწმუნებელმა შეიძლება დაავალოს რწმუნებულს როგორც იურიდიული, ისე ფაქტობრივი მოქმედების შესრულება, ამდენად, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება და დავალების ხელშეკრულების დადება — ეს ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სამართალურთიერთობაა. დავალების ხელშეკრულების საფუძველზე ცალკეული მოქმედების შესასრულებლად შეიძლება გაიცეს მინდობილობა. შეიძლება არ დაიდოს დავალების ხელშეკრულება და გაიცეს მინდობილობა, ან პირიქით — დაიდოს დავალების ხელშეკრულება და არ გაიცეს მინდობილობა. ამდენად, მინდობილობას შეიძლება საფუძვლად დაედოს დავალების ხელშეკრულება და შეიძლება არ დაედოს. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გადაცემის, მისი მოცულობის, ხანგრძლივობისა და შეწყვეტის მომწესრიგებელი ნორმები და დავალების სახელშეკრულებო ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები გამიჯნულია და განმტკიცებულია სკ-ის სხვადასხვა ნორმებით. შესაბამისად, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტისა (სკ-ის 109-ე მუხ.) და დავალების ხელშეკრულების შეწყვეტის (სკ-ის 720-721-ე მუხ.) საფუძვლები სკ-ის სხვადასხვა ნორმებით რეგულირდება. 210 სკ-ის 109-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ქარწყდება უფლებამოსილების გამცემი პირის გარდაცვალებით ან მისი ქმედუნარობის დადგომით, თუკი შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. 109-ე მუხლის პრინციპია, რომ გარდაცვალება იწვევს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტას, თუმცა ამავე მუხლის „დ“ პუნქტით, თუ მას საფუძვლად დავალება (შეთანხმება) უდევს, მაშინ დამოკიდებულია დავალების ხელშეკრულების ბედზე. დავალების ხელშეკრულების ნორმებში კი პრინციპი განსხვავებულია. სკ-ის 721-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულება არ წყდება მარწმუნებლის გარდაცვალების გამო, თუკი სხვა რამ არ არის შეთანხმებული. აღნიშნული ნორმა განსაზღვრავს, რომ დავალების მიმცემის გარდაცვალება, სხვა შეთანხმების არ არსებობის შემთხვევაში, ავტომატურად არ იწვევს დავალების ხელშეკრულების მოშლას, რასაც მივყავართ იქამდე, რომ არც მინდობილობა უქმდება. მხოლოდ დავალების მიმცემის პიროვნებაში მოხდება ცვლა. გარდაცვლილი დავალების მიმცემს ენაცვლება მისი მემკვიდრე, რომელსაც შეუძლია ხელშეკრულების მოშლა, რაც უნდა აცნობოს რწმუნებულს. ვიდრე რწმუნებულს არ ეცნობება ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები, იქამდე ხელშეკრულება რწმუნებულისთვის გაგრძელებულად ჩაითვლება (სკ-ის 721-ე მუხლის მე-3 ნაწილი). 721-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ დავალების ხელშეკრულება წყდება მარწმუნებლის გარდაცვალების გამო, ხელშეკრულება გაგრძელებულად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ

ხელშეკრულების აღსრულების დაყოვნება მემკვიდრეს ზიანის მიყენების საფრთხეს უქმნის, მემკვიდრე კი არ იღებს აუცილებელ ზომებს. ამდენად, აღნიშნული ნორმა უზრუნველყოფს მემკვიდრეთა დაცვას ზიანის მიყენების საფრთხისაგან და მარწმუნებლის გარდაცვალების შემდეგ რწმუნებულის მიერ დავალებული მოქმედების განხორციელებისას არ უნდა შეილახოს მემკვიდრეთა უფლებები.

უზენაესი სასამართლო ერთ-ერთ საქმეზე¹⁴⁴, ასევე განმარტავს, რომ ადვოკატს, რომელიც ორდერის საფუძველზე ახორციელებს კლიენტის ინტერესების დაცვას, სამოქალაქო სამართლებრივი გარიგების დადების უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში პირდაპირაა აღნიშნული ასეთი უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე. მართალია, დავალების ხელშეკრულების ფორმა თავისუფალია, მაგრამ ზეპირი ხელშეკრულების შემთხვევაში, რწმუნებულმა სარწმუნოდ უნდა დაამტკიცოს მარწმუნებლის მიერ კონკრეტული დავალების მიცემის ფაქტი. **არაკეთილსინდისიერ მხარესაც შესაძლებელია გააჩნდეს მოთხოვნები კონტრაქტის მიმართ.** ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება ამ მოთხოვნების ფარგლების დადგენას. კერძოდ, დავალების ხელშეკრულების საფუძველზე დავალებული მოქმედებით მარწმუნებელი იღებს სარგებელს, შესაბამისად მას გააჩნია შესრულების მიმართ იურიდიული და ეკონომიკური ინტერესი. მოცემულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს აღნიშნული ინტერესი. შესაძლებელია მოსარჩელეს (რწმუნებულს) გააჩნდეს მხოლოდ იმ ხარჯის მოთხოვნის უფლება, რომელიც მან გასწია დავალების შესასრულებლად და, რომლის მიმართ მარწმუნებელს გააჩნია იურიდიული და ეკონომიკური ინტერესი იმ თანხების გამოკლებით, რაც მიუთითებს მის მიერ ვალდებულების არაკეთილსინდისიერად შესრულებაზე.

6.2 დავალების ხელშეკრულების სასყიდლიანი ხასიათი

რაც შეეხება დავალების ხელშეკრულების სასყიდლიანობას, ერთ-ერთ საქმეზე¹⁴⁵ საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დავალების ხელშეკრულების დადებისას გასამრჯელოს კონკრეტულ ოდენობაზე ან მისი გამოთვლის წესზე შეუთანხმებლობა არ გულისხმობს მხარეთა შორის უსასყიდლო ურთიერთობის არსებობას. ამ თავისებურებაზე მიუთითებს სსკ-ის 710-ე

¹⁴⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 5 სექტემბრის №ას-127-124-2011

განჩინება

¹⁴⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 27 მარტის №ას-1281-2018 გადაწყვეტილება

მუხლის მე-2 ნაწილი „გასამრჯელო ჩაითვლება უსიტყვოდ შეთანხმებულად, თუ გარემოებათა მიხედვით მოქმედების შესრულება მხოლოდ გასამრჯელოთი არის მოსალოდნელი“. ამ ნორმით გათვალისწინებული გარემოების გაქარწყლება შესაძლებელია თვით დაინტერესებული პირის მიერ, თუ იგი დაადასტურებს, რომ სადავო ურთიერთობა გასამრჯელოს არ ითვალისწინებდა. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის (მარწმუნებლის) მითითება, რომ მხარეებს შორის იმთავითვე არ არსებობდა შეთანხმება რაიმე სახის ფიქსირებული ოდენობის გასამრჯელოზე, არ იყო საკმარისი სსკ-ის 710-ე მუხლის მე-2 ნაწილით მოცემული პრეზუმფციის გასაქარწყლებლად. სსკ-ის 710-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „თუ გასამრჯელოს ოდენობა არ არის განსაზღვრული, მაშინ რაიმე ნიხრის არსებობისას შეთანხმებულად მიიჩნევა სანიხრო გასამრჯელო, ისევე, როგორც ნიხრის არარსებობისას - ჩვეულებრივი გასამრჯელო“. ამდენად, კანონი უშვებს შესაძლებლობას, რომ გასამრჯელოს თაობაზე ხელშეკრულებაში შესაბამისი დათქმის არარსებობის მიუხედავად, მისი ოდენობა დადგინდეს ნიხრების ან ამ ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი ჩვეულებების მიხედვით გონივრული ოდენობით. სსკ-ის 709-ე და 710-ე მუხლების ნორმატიული შინაარსი დავალებისათვის გასამრჯელოს გადახდის ვალდებულებას ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებს უკავშირებს. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ დავალების ხელშეკრულების შესრულებისას მარწმუნებლის მიერ დავალებული თანხების მითვისება წარმოადგენდა ვალდებულების არაკეთილსინდისიერად და არაჯეროვნად შესრულებას.

VII. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები

წარმომადგენლობის შეწყვეტა ნიშნავს იმ უფლებამოსილების გაქარწყლებას, რომელიც წარმომადგენელს უფლებას აძლევდა, ემოქმედა წარმოდგენილი პირის სახელით და რომლის შემდეგ ამ მოქმედებას აღარ მოჰყვება სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა.

გერმანული სამოქალაქო კოდექსისაგან ყველაზე მეტადაა დავალებული ქართული სამოქალაქო კოდექსი თავისი აგებულებით, ზოგადი დოგმატიკითა და კონკრეტული ინსტიტუტების მოწყობით.¹⁴⁶

წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლების დადგენა ასეთი სამართლებრივი ურთიერთობის კონკრეტული საკითხების

¹⁴⁶ რუსიაშვილი, კაზუსები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2015, 9

მართებულიად გამოყენებისთვის უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს.¹⁴⁷

საინტერესოა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის მომწესრიგებელი გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესაბამის პარაგრაფებთან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მომწესრიგებელი ნორმების შედარება.

გსკ-ის 168-ე პარაგრაფის თანახმად, მინდობილობის გაუქმება დამოკიდებულია იმ სამართლებრივ ურთიერთობაზე, რომელთან დაკავშირებითაც იგი გაიცა. მინდობილობაზე ასევე შეიძლება უარი სამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელების შემთხვევაშიც, თუ ამ უკანასკნელიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს. მინდობილობაზე უარის განცხადების მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება § 167-ის პირველი ნაწილის ნორმა.

სსკ, გსკ-სგან განსხვავებით, რწმუნებულების გაუქმების საფუძვლის განსაზღვრისას, ჩამოთვლის ვალდებულების შეწყვეტის ზოგად საფუძვლებს. 109-ე მუხლის თანახმად, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ქარწყლდება:

- იმ ვადის გასვლით, რა ვადითაც გაიცა უფლებამოსილება;
- უფლებამოსილი პირის უარით;
- უფლებამოსილების გამცემი პირის მიერ უფლებამოსილების გაუქმებით;
- უფლებამოსილების გამცემი პირის გარდაცვალებით;
- შესრულებით;
- უფლებამოსილების გამცემი პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობით, თუ მას მხარდაჭერა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ან ქონების განკარგვის უფლების განსახორციელებლად დაუწესდა.

7.1 ვადის გასვლა

წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გაქარწყლების გავრცელებული შემთხვევა იმ ვადის გასვლაა, რა ვადითაც გაცემულია უფლებამოსილება. განსაზღვრული ვადით გაცემული მინდობილობა ძალაშია ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1078-1011-2012. კასატორი ასაჩივრებს სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელ

¹⁴⁷ რუსიაშვილი გ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, civilcode.ge, ბოლო დამუშავება 24.12.2017, მუხ. 109, ველი 1, [23.06.2019]

გადაწყვეტილებას და საჩივარს აფუძნებს იმ გარემოებაზე, რომ სასამართლო უწყება ჩაბარდა მის წარმომადგენელს, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე ორი დღით ადრე. ვინაიდან არ იყო გასული ის ვადა, რა ვადითაც გაიცა უფლებამოსილება (სკ-ის 109-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი), შესაბამისად, მისთვის უწყების ჩაბარება საკასაციო სასამართლომ უფლებამოსილი პირისათვის ჩაბარებად მიიჩნია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს. მითითებული ნორმა სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას უწყება გაუგზავნოს მხარეს ან მის წარმომადგენელს, ხოლო, ერთ-ერთი მათგანისათვის ჩაბარება მიიჩნიოს, როგორც მხარისათვის, ასევე წარმომადგენლისათვის ჩაბარებად. მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ავალდებულებს წარმომადგენელს, უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს, მაგრამ წარმომადგენლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობა ან შესრულების შეუძლებლობა, გავლენას ვერ მოახდენს მხარისათვის უწყების ჩაბარებულად მიჩნევაზე. წარმომადგენლის მიერ ზემოხსენებული ვალდებულების შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს დავალების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი, მაგრამ იგი ვერ გააქარწყლებს სასამართლო უწყების მხარისათვის ჩაბარებულად მიჩნევის პრეზუმფციას.

7.2 უფლებამოსილი პირის უარი

დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრულია, რომ უფლებამოსილი პირის უარში იგულისხმება წარმომადგენლის უარი.¹⁴⁸ პრაქტიკული თვალსაზრისით, შესაძლებელია არ დადგეს ისეთი შედეგი, რომ რწმუნებულება გაუქმებულად ჩაითვალოს, თუმცა მას სამართლებრივი ძალა მაინც აღარ ექნება. მაგალითად, როდესაც რწმუნებული უარს ამბობს სასამართლოში წარმომადგენლობაზე, ხოლო რწმუნებულება ნოტარიუსის მიერაა დამოწმებული. ასეთის არსებობისას, რწმუნებულება იქამდე იქნება ძალაში, სანამ მარწმუნებელი არ გააუქმებს მას ნოტარიუსთან, ან სანამ მისი მოქმედების ვადა არ გავა, თუმცა ორივე შემთხვევაში სამართლებრივი შედეგის დადგომისთვის მაინც

¹⁴⁸ ზოიძე ბ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 109, 289

წარმომადგენლის ქმედებაა საჭირო. შედეგად, პრაქტიკული მნიშვნელობიდან გამომდინარე, რწმუნებულება თავის აზრს დაკარგავს.¹⁴⁹

7.3 უფლებამოსილების გამცემი პირის მიერ უფლებამოსილების გაუქმება

წარმომადგენლობითი უფლებამოსილება აგრეთვე წყდება უფლებამოსილების გამცემი პირის მიერ უფლებამოსილების გაუქმებით. სსკ-ის 51-ე მუხლის მიხედვით, ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილია იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა.¹⁵⁰ უფლებამოსილების გამცემ პირს ყოველთვის შეუძლია, გააუქმოს უფლებამოსილება. გაუქმება ცალმხრივი ნების გამოვლენაა, რომელიც უნდა ეცნობოს ან უფლებამოსილ პირს ანდა მესამე პირს, რომლის მიმართაც ჰქონდა ადგილი წარმომადგენლობას. (სსკ-ის 108-ე მუხლი). გაუქმების შესახებ ნების გამოვლენა ძალის მქონე იქნება თუკი იგი მიუვა აღნიშნულ პირებს.¹⁵¹

7.4 უფლებამოსილების გამცემი პირის გარდაცვალება

დადგენილია, რომ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ქარწყლდება უფლებამოსილების გამცემი პირის გარდაცვალებით, თუმცა დასაშვებია მაგ. დავალების ხელშეკრულების დადებისას მხარეთა შეთანხმება იმის თაობაზე, რომ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება არ შეწყდეს უფლებამოსილების გამცემი პირის გარდაცვალებით.¹⁵²

7.5 წარმომადგენლობა შეწყდება, ასევე, შესრულებით

შესრულება გულისხმობს მინიჭებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში კონკრეტული ქმედების განხორციელებით ვალდებულების შესრულებას. მაგ. ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ პირველ ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობაზე. შესრულება სახეზე, პირველი ინსტანციის დასრულების შედეგად.

¹⁴⁹ რუსიაშვილი გ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, civilcode.ge, ბოლო დამუშავება 24.12.2017, მუხ. 109, ველი 4, [23.06.2019]

¹⁵⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 დეკემბრის №ას-1203-1123-2017 განჩინება

¹⁵¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 5 აპრილის №ას-514-898-06 განჩინება

¹⁵² ზოიძე ბ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 109, 289

7.6 უფლებამოსილების გამცემი პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობა

დავას არ უნდა საჭიროებდეს, რომ თუ უფლებამოსილების გამცემი პირი სასამართლომ ცნო მხარდამჭერის მიმღებად წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ან ქონების განკარგვის შემთხვევაში, მის მიერ გაცემული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება უნდა გაქარწყლდეს, რწმუნებულება კარგადს სამართლებრივ ძალას.

VIII. დასკვნა

ნაშრომში მიმოვიხილე წარმომადგებლობითი უფლებამოსილების წარმოშობის საფუძვლები და წარმომადგენლობის ფარგლები. პრობლემურია წარმომადგენლობით უფლებამოსილების ფარგლების გადაჭარბების შემთხვევები. ნაშრომიდან ირკვევა, რომ საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა, როგორც უფლება, არასრულწლოვანს აღჭურავს უფლებამოსილებით, მოსთხოვოს გადაწყვეტილების მიმღებ პირს მისი საუკეთესო ინტერესების უპირველეს ყოვლისა გათვალისწინება, ხოლო როგორც პრინციპი, ავალდებულებს გადაწყვეტილების მიმღებ პირს, იმოქმედოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად.

ბავშვთა უფლებები ყოველდღიურად ირღვევა. კვლავ დიდი ხარვეზებია ბავშვთა სამართლებრივი დაცვის კუთხით, ასევე დიდი სხვაობაა კანონმდებლობასა და პრაქტიკას შორის. ვფიქრობ, ბავშვთა უფლებების შესახებ ფართო საზოგადოებრივი ცნობიერებაა საჭირო იმისთვის, რომ იგი აღქმული იყოს, როგორც სრულუფლებიანი მოქალაქე. ჩემი აზრით, კანონიერი წარმომადგენლობის უფლებამოსილება უნდა განხორციელდეს მხოლოდ და მხოლოდ ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით. დაუშვებელია არასრულწლოვნის ქონების განკარგვა მხოლოდ იმ მიზნით, რომ სარგებელი მიიღოს სხვამ, ამ შემთხვევაში, კანონიერმა წარმომადგენელმა.

რაც შეეხება წამომადგენლობით უფლებამოსილებას მინდობილობის საფუძველზე, უნდა აღინიშნოს, რომ ხშირია შემთხვევები, როცა ხდება უფლებამოსილების ფარგლებს გადაჭარბება, ან/და საკუთარ თავთან გარიგების დადება უფლებამოსილების დოკუმენტში სპეციალური მითითების გარეშე. აღსანიშნავია, რომ სსკ-ის რეგულირებით წარმომადგენლის მიერ გამოვლენილი ნების სამართლებრივი შედეგის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია მესამე პირის კეთილსინდისიერი ვარაუდი რწმუნებულების არსებობის შესახებ. პრობლემურია საკითხის გადაწყვეტა, როცა ქონება განიკარგება არაუფლებამოსილი პირის მიერ, რაც უპირისპირდება კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესებს. ამ შემთხვევაში, მესაკუთრისთვის უნდა მოხდეს შესაბამისი ზიანის ანაზღაურება, თუმცა აღნიშნული ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ მდგომარეობას.

ასევე მნიშვნელოვანია დირექტორის, როგორც იურიდიული პირის წარმომადგენლის, უფლებამოსილების ფარგლები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაშიც არაერთგვაროვანი მიდგომაა, თუ დირექტორი

უფლებამოსილია დადოს კონკრეტული გარიგება, პარტნიორ(ებ)ის თანხმობის გარეშე, მაშინ პარტნიორ(ებ)ი არ არიან უფლებამოსილი მართონ/განკარგონ საზოგადოების უძრავ/მოძრავი ქონება.

ამდენად, ნებისმიერ სამართლებრივ ურთიერთობაში, მათ შორის, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას, მნიშვნელოვანია კეთილსინდისიერების ვარაუდი. ამ შემთხვევაში რელევანტურია სსკ-ის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვითაც, თავისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით, ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას.

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995
<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>>
2. კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, 02/07/1994
<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0>>
3. გაეროს 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია
<<http://www.parliament.ge/uploads/other/115/115526.pdf>>
4. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მიღებული გენერალური ასამბლეის 1966 წლის 16 დეკემბრის 2200A (XXI) რეზოლუციით
<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0>>
5. საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ მიღებული გენერალური ასამბლეის 1966 წლის 16 დეკემბრის 2200A (XXI) რეზოლუციით
<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1483577?publication=0>>
6. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია, 12/04/2014
<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2334289?publication=0>>
7. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს საპარლამენტო უწყებანი № 31, 1997 <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>>
8. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 21-22, 28/10/1994
<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/28408?publication=63>>
9. „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, სსმ, 30, 27/07/2006 <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/24178?publication=14>>
10. „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, სსმ, 24, 02/07/2007 <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/21604?publication=22>>
11. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის ბრძანება №71 „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, სსმ, 33, 31/03/2010
<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1010061?publication=0>>
12. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი - Burgerliches Gesetzbuch
<<http://www.library.court.ge/upload/giz2011-ge-bgb.pdf>>

სასამართლოს გადაწყვეტილებები:

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532,533 გადაწყვეტილება <<https://www.constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/saqartvelos-moqalaaqeebi-irakli-qemoklidze-da-davit-xaradze-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg-866.page>> [10.07.2019]
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 16 ივლისის №ას-325-619-04 გადაწყვეტილება
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 22 ივლისის №ას-263-559-04 განჩინება
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 23 მარტის №ას-531-864-05 განჩინება
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 8 სექტემბრის №ას-39-489-06 გადაწყვეტილება
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 19 მარტის №ას-452-843-06 განჩინება
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 5 აპრილის №ას-514-898-06 განჩინება
8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 4 ოქტომბრის №ას-464-434-2010 განჩინება
9. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 15 დეკემბრის №28/97-11 გადაწყვეტილება <<http://temida.mylaw.ge/fullcase/1249///--.pbn>> [10.07.2019]
10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 19 ივლისის №ას-114-110-2012 განჩინება
11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 5 სექტემბრის №ას-127-124-2011 განჩინება
12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 22 იანვრის №ას-1062-996-2012 განჩინება
13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 8 ნოემბრის №ას-1655-1552-2012
14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 22 აპრილის №ას-411-388-2014 გადაწყვეტილება
15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 13 ოქტომბრის №ას-788-745-2015 განჩინება

16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 28 ოქტომბრის №ას-813-764-2015 განჩინება
17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 25 თებერვლის №ას-967-916-2015 განჩინება
18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 20 მაისის №ას-1221-1146-2015 განჩინება
19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 დეკემბრის №ას-1203-1123-2017 განჩინება
20. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 10 მაისის №28/207-18 გადაწყვეტილება <<http://temida.mylaw.ge/fullcase/894///--.pbn>> [10.07.2019]
21. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 13 ივლისის №ას-809-809-2018 განჩინება
22. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 6 ნოემბრის №ას-687-658-2016 გადაწყვეტილება
23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 27 მარტის №ას-1281-2018 გადაწყვეტილება
24. *Johansen v. Norway* , Judgment of 7 August 1996. Reports. 1996-III. <[https://hudoc.echr.coe.int/eng#{"fulltext":\["Johansen%20v.%20Norway"\],"documentcollectionid2":\["GRANDCHAMBER","CHAMBER"\],"itemid":\["001-58059"\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{)> [10.07.2019]
25. *Case of Lazarev v. Russia*, Judgment, 05.01.2007 <[https://hudoc.echr.coe.int/eng#{"fulltext":\["Lazarev%20v.%20Russia"\],"documentcollectionid2":\["GRANDCHAMBER","CHAMBER"\],"itemid":\["001-77253"\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{)> [10.07.2019]
26. *S.L and J.L v. Croatia – Protection of children’s best interests in property deal*, Judgment, 07.05.2015 <[https://hudoc.echr.coe.int/eng-press#{"itemid":\["003-5078284-6252731"\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng-press#{)> [10.07.2019]

სამეცნიერო ლიტერატურა:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, წიგნი I, თბ., 2002
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, *civilcode.ge*
3. კროპჭოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თბ., 2014
4. ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბ. 2004
5. ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., 2005
6. ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011
7. შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბ., 2017
8. ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისის მე-4 გამომცემლობა, 2004
9. ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, თბ., 1999
10. ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014
11. თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, თბ., 2006
12. ჭეჭელაშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014
13. ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2014, I ნაწილი
14. ვაშაკიძე გ., კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით - აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2007
15. რუსიაშვილი გ., ეგნატაშვილი დ., კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბ., 2016
16. რუსიაშვილი, კაზუსები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2015
17. ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები, ე. ბზეკალავას, თ. ჭალიძის, ა. ცერცვაძისა და დ. გეგენავას თარგმანი, საერთო რედაქტორობით, თბ., 2014
18. ბიჭია მ., კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, 2016
19. თუმანიშვილი გ., გარიგებები (სამართლებრივი ბუნება და ნორმატიული რეგულირება), თბ., 2012
20. კობახიძე ა., სამოქალაქო სამართალი, ნაწილი I

21. კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2009
22. ერქვანია თ., მესამე პირთა ინტერესების დაცვა წარმომადგენლობაში (საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით), მართლმსაჯულება და კანონი, № 3(34)'12
23. მიგრიაული დრ., რ., ბეარი ა., „საკუთარ თავთან გარიგების დადება ერთკაცა შპს-ში“
24. ყანდაშვილი ი., ჟურნალი „ადვოკატი“ №1, 2011, „სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ორგანული წარმომადგენლობა: მსგავსება და განსხვავება გენერალური სავაჭრო მინდობილობის ინსტიტუტისგან“
25. ლილუაშვილი გ., ჟურნალი „ცხოვრება და სამართალი“ №1, 1998, იურიდიული პირი, როგორც მინდობილი მესაკუთრე
26. ჩარგეიშვილი ა., ჟურნალი „ცხოვრება და სამართალი“ №1, 1998, პროკურა და სხვა მინდობილობითი უფლებამოსილებანი
27. წაქაძე გ., ჟურნალი „სამართალი“ №5-6, 2002, წარმომადგენლის საქმიანობის შეზღუდვა - შეცდომა თუ?
28. ბასილაია ფ., ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №1(20), 2009, წარმომადგენლობა და დაუსწრებელი გადაწყვეტილება
29. შენგელია ე., ჟურნალი „სამართალი“ №3, 2001, სააქციო საზოგადოების დირექტორთა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება
30. ზამბახიძე ტ., ჟურნალი „სამართალი“ №1, 2000, საკუთრების მინდობა - საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ახალი ინსტიტუტი
31. ზამბახიძე თ., ჟურნალი „სამართალი“ №1, 2000, საკუთრების მინდობა (ისტორიული მიმოხილვა)
32. შეყილაძე ხ., არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის არსი, სამართლის ჟურნალი №2, 2016
33. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2016
34. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, ქმედუნარიანობა - საკანონმდებლო რეფორმა იმპლემენტაციის გარეშე, 2016
35. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, 2016
36. Franklin A. Gevurtz, Corporation Law, Second Edition, 2000

37. Stephen M. Bainbridge, *The New Corporate Governance in Theory and practice*, Oxford University Press, 2008
38. *Towards a European Civil Code*, Kluwer Law International, 2004
39. Ершова Н., *Опека и попечительство, Усыновление*, Изд. “Московский рабочий”, 1984
40. Howe, R. B., Covell, K. *Education in the best interests of the child: a children’s rights perspective on closing the achievement gap*. University of Toronto press, 2013 <<https://www.jstor.org/stable/10.3138/j.ctt2ttkqd>> [01.07.2019]
41. Van Deusen Ch.R., *The Best interests of the Child and the Law*, Journal “Pepperdine Law Review“, Vol. 18, 1991 <<https://law.pepperdine.edu/law-review/>> [01.07.2019]
42. Alston P., Gilmour-Walsh B., *The Best Interests of The Child-Towards a Synthesis of Children’s Rights and Cultural Values*, UNICEF, 1996 <<https://www.unicef-irc.org/publications/108-the-best-interests-of-the-child-towards-a-synthesis-of-childrens-rights-and-cultural.html>> [01.07.2019]
43. UNHCR Guidelines on Formal Determination of the best Interests of the Child, United Nations High Commissioner for Refugees, 2006 <<https://www.unhcr.org/protection/migration/4ba09bb59/10-point-plan-expert-roundtable-no3-return-non-refugees-alternative-migration.html?query=Formal%20Determination%20of%20the%20best%20Interests%20of%20the%20Child%202006>> [01.07.2019]
44. UNHCR Guidelines on Formal Determination of the best Interests of the Child, United Nations High Commissioner for Refugees, 2008 <<https://www.unhcr.org/protection/children/4566b16b2/unhcr-guidelines-determining-best-interests-child.html?query=best%20Interests%20of%20the%20Child%202008>> [01.07.2019]
45. Martin Guggenheim, *The Right to be Represented but Not Heard: Reflections on Legal Representation for Children* <https://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/nylr59&div=9&sent=1&casa_token=&collection=journals> [01.07.2019]
46. Emily S, Taylor Poppe, Jeffrey J. Rachlinski, *Do Lawyers Matter, The effect of legal representation in Civil Disputes* <<https://digitalcommons.pepperdine.edu/plr/vol43/iss4/1/>> [01.07.2019]

47. Thomas D. Morgan, Robert W. Tuttle, Legal Representation in a pluralist Society <https://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/gwlr63&div=45&g_sent=1&casa_token=&collection=journals> [01.07.2019]

ინტერნეტ რესურსები:

<http://www.matsne.gov.ge/>

<http://www.supremecourt.ge/>

<https://www.constcourt.ge/>

<http://temida.mylaw.ge/>

<http://www.civilcode.ge/>

<http://www.library.court.ge/>

<https://hudoc.echr.coe.int/>

<http://www.heinonline.org/>

<https://digitalcommons.pepperdine.edu/>

<https://www.jstor.org/>

<https://www.unicef.org/>

<https://www.unhcr.org/>

<http://ungeorgia.ge/>

<https://law.pepperdine.edu/>

<https://www.unicef-irc.org/>